ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლიტერატურული საქართველო

1980 | 7 მარტი, პარასკევი
№ 10 (2187)
გამოცემის 48-ე წელი

საქართველოს საბჭოთა მწერლების
კავშირის გამგეობის ორგანო

«ЛИТЕРАТУРУЛИ САКАРТВЕЛО»
ОРГАН ПРАВЛЕНИЯ СОЮЗА СОВЕТСКИХ
ПИСАТЕЛЕЙ ГРУЗИИ

გუშინ ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართა რესპუბლიკის პარტიულ-სამეურნეო აქტივის კრება, რომელიც მიეძღვნა საქართველოსათვის სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი-დროშის გადაცემას.

* * *

სურათზე: დროშის გადაცემა.

ფოტო გ. კიკვაძისა.

(საქინფორმის ფოტოქრონიკა)

ნოდარ ჯალაღონია

თინათინ ხარძიანს

თოთხმეტი შვილის დედას

თუ სამშობლო არ დაბერდა,
თუ აქამდე მოვედით,
შენ გიმადლის, ქართვლის
დედავ,
ერიც, ბერიც, პოეტიც.

გატანილი არის ლელო
განა მარტო ხმალისა,
თუ გადურჩა საქართველო
წლებს, მტრებსა და
ქარიშხალს, —

ისევ შენით, ქართვლის დედავ,
შენი ძუძუს წყალობით,
შენი ტირილ-გალობით და
შენი კარგი ქალობით.

როცა ჩვენს სულს ამძიმებდა
ქვეყნის ბედის ტრიალი,
თურმე მტერს არ აძინებდა
ჩვენი კარის ჭრიალიც.

მოლულუნე აკვნის ხმები
და ბავშვების სიცილი
იყო თურმე ჩვენი მტრების
შოლმაცა და სიკვდილიც.

გვიღიმოდა, მაგრამ იქვე
თურმე საფლავს გვითხრიდა,
საქართველოს გოგო-ბიჭებს
სულ თითებზე ითვლიდა.

ხან მუქარით, ხანაც ტაშით,
ხან ჩუმად, ხან განგაშით;
ხან მიჰყავდა ისპაჰანში,
ხან სტამბოლის ბაზარში.

ბრუნდებოდნენ მერე უკან
მტრის ხომალდის ნიჩბებად,
ხან ეგვიპტის მამლუკად,
ხან თურქ იანიჩრებად.

თუმცა გვქონდა ბედი მკაცრი,
არ გვივლია ჩოქვითაც.

განა მტერი სიმამაცით, —
სულ სიმრავლით გვჯობნიდა.

და ვცვდებოდით ფეხზე
დგომით,
ხანაც პირზე სიცილით,
ვმარცხდებოდით განა ომით, —
ისევ ჩვენი სიმცირით.

როცა ცეცხლით იწვებოდა
ჩვენი ტყე და მინდორი,
აკვნებიდან იწყებოდა
ისევ ჩვენი დიდგორი.

მარტო ხმალით დავრჩით განა
ანდა სისხლით დაღვრილით, —
იყო თქვენი „იავნანა“
საქართველოს მახვილი.

ციხეებმა გვიხსნა განა
ანდა მთების სიმაღლემ, —
იყო თქვენი „ვარდო ნანა“
საქართველოს სიმაგრე.

დღესაც ერი ბრწყინავს თუკი,
ისევ შენი მანდილით,
შენი დალით, ლალით, ნუკრით,
ბადრით თუ ავთანდილით.

ცა ახურავთ თავზე ქუდად,
დააქვთ ელვის ბოკელი;
დაძუნძულებს შვიდი ძუ და
შვიდი ხვადი ბოკვერი.

მტერს არც სიზმრად და არც
ცხადად
არ შეარჩენს არაფერს,
არც პაატას, არც იმ ცხრა
ძმას,
არც იმ სამას არაგველს.

მტერს საფლავში აურიალებს
(მოესწარით ამ დღესაც)
და თოთხმეტი ხარძიანი
კლდეზე ბრჭყალებს ილესავს.

ბერჩლიანის გვარი

ნიკოლოზ ბერჩლიანი გვარის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო. მისი სიკვდილით შეწყდა ბერჩლიანების გვარის არსებობა სვანეთში.

ზარი თქვით, სვანებო, ზარი, ვოი...
მკვდარი ვიტიროთ, სვანებო, მკვდარი, ვოი...
ბერჩლიანების ამაყი გვარი, ვოი...
სვანეთისთვის სამუდამოდ მკვდარი, ვოი...

მთელი სოფელი ცრემლად იცლება, ვოი...
მთელი სვანეთი გულით მიგტირის, ვოი...
არ შეიძლება, არ შეიძლება, ვოი...
საქართველოში გვარის სიკვდილი, ვოი...

ქუდზე კაციო, მამულმა რომ თქვას, ვოი...
ბერჩლიანო, რა პასუხს მიაგებ, ვოი...
შენი კოშკი ჰგავს დაგდებულ დროშას, ვოი...
და მიტოვებულ ციხე-სიმაგრეს, ვოი...

ან წინაპრებთან მიხვალ რა პირით, ვოი...
ან აქ დარჩენას როგორ აპირებ, ვოი...
შენს სახელს სანთელს ვინღა აუნთებს, ვოი...
შენს ეულ საფლავს ვინ დაატირებს, ვოი...

ზარი თქვით, სვანებო, ზარი, ვოი...,
მკვდარი ვიტიროთ, სვანებო, მკვდარი, ვოი...
ბერჩლიანების ამაყი გვარი, ვოი...
სამშობლოსთვის სამუდამოდ მკვდარი, ვოი...

კრიტიკოსი და მწერლობა

დღევანდელი ქართული ლიტერატურული კრიტიკის პრობლემებზე საუბარი მოწინავე წერილით დავიწყეთ („ლიტ. საქართველო“, № 6). გამოვაქვეყნეთ რამდენიმე მწერლის გამოხმაურება ჟურნალ „ვოპროსი ლიტერატურის“ ანკეტაზე, და ბოლოს ჩვენს კრიტიკოსებს დავუგზავნეთ კითხვები, რომლებიც, ჩვენი აზრით, ქართული კრიტიკის დღევანდელ მდგომარეობაზე საინტერესო საუბრის საბაბს იძლეოდა.

პირველ ყოვლისა მადლობა გვინდა ვუთხრათ ანკეტის ყველა მონაწილეს, რომელთაც დიდი ინტერესი გამოიჩინეს და გულახდილი პასუხები გამოგვიგზავნეს. ამ პასუხებში ნათლად გამოსჭვივის უმთავრესი: ჩვენი კრიტიკოსების გულწრფელი სურვილი — თავისი სიტყვა თქვან თანამედროვე ქართული ლიტერატურის განვითარების საქმეში, აამაღლონ კრიტიკის წარმმართველი, აქტიური როლი ლიტერატურის მაღალიდეურობისა და მაღალმხატვრულობისათვის ბრძოლაში, უფრო ნათლად და ღრმად გამოკვეთონ ქართული კრიტიკის, როგორც ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრის სახე.

თავის მხრივ, რედაქცია შეეცადა, კრიტიკოსებისათვის გულწრფელი, გულახდილი საუბრის საშუალება მიეცა. პასუხებში მრავალი მოსაზრება მნიშვნელოვანია, ზოგი რამ — სადავო და საპოლემიკოც... და ეს ყოველივე, ერთიანად, ქმნის საკმაოდ ფართო და ობიექტურ სურათს ჩვენი ლიტერატურის ერთი მთავარი ჟანრის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ.

აქვე უნდა ითქვას, რომ ლიტერატურულ კრიტიკაზე საუბარი რედაქციას რაღაც საგანგებო მდგომარეობის გამო არ დაუწყია. უახლოეს ხანში ამგვარი საუბრები გვინდა გავმართოთ სხვა ჟანრებზეც, კერძოდ — თარგმანზე და დრამატურგიაზე... ჩვენი ღრმა რწმენით, ამგვარი საუბრები მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება საქმეს, უფრო გააქტიურებს ლიტერატურულ ცხოვრებას, მწერლობას მისცემს პროფესიული, პატიოსანი ლიტერატურული პოლემიკის საბაბს, გამოჰყოფს იმ მთავარსა და არსებით პრობლემებს, რომელთა ირგვლივაც განსაკუთრებით ბევრი სათქმელი დაგროვილა... დაბოლოს, ამგვარ საუბრებში ხომ ჩვენი მრავალრიცხოვანი მკითხველიც მონაწილეობს, რომლის წინაშეც უფრო ნათლად იკვეთება დღევანდელი ლიტერატურული ცხოვრების წამყვანი ტენდენციები.

ლიტერატურულ კრიტიკაზე მძაფრი პოლემიკა სხვა დროსაც ყოფილა. მართალს ამბობენ ჩვენი ანკეტის მონაწილენი: არც ერთ სხვა ჟანრზე იმდენი პოლემიკა არ გამართულა, რამდენიც კრიტიკაზე...

საბჭოთა ლიტერატურული კრიტიკის წარმმართველი როლის კიდევ უფრო ამაღლებასა და განმტკიცებაში დიდი წვლილი შეიტანა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1972 წლის დადგენილებამ „ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის შესახებ“, რომელიც საბჭოთა ლიტერატურის პარტიულობის, მაღალიდეურობისა და მაღალმხატვრულობისათვის ბრძოლაში კრიტიკის მაორგანიზებელ როლს მიეძღვნა.

ამ ისტორიული მნიშვნელობის დადგენილებაში ნათქვამი იყო: „კრიტიკის მდგომარეობა ჯერ კიდევ მთლიანად არ შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებსაც განსაზღვრავს კომუნისტურ მშენებლობაში მხატვრული კულტურის სულ უფრო მზარდი როლი...“. „ბევრ სტატიას, მიმოხილვას, რეცენზიას ზერელე ხასიათი აქვს, დაბალია მათი ფილოსოფიური და ესთეტიკური დონე“. „კრიტიკაში დღემდე ვლინდება შემრიგებლური დამოკიდებულება იდეური და მხატვრული წუნისადმი, სუბიექტივიზმი, ძმაბიჭური და ჯგუფური მიკერძოებანი“...

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მოუწოდა „შემოქმედებით კავშირებს ყოველდღიურად იზრუნონ ლიტერატურულ-მხატვრული კრიტიკის იდეურ-თეორიული და პროფესიული დონისათვის, აამაღლონ მისი როლი კომუნისტური მშენებლობის ამოცანების გადაწყვეტაში, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებაში, უცხო შეხედულებათა და კონცეფციათა წინააღმდეგ ბრძოლაში“. „შემოქმედებითი კავშირები უნდა იყვნენ მხატვრული შემოქმედების აქტუალური საკითხების, ლიტერატურისა და ხელოვნების ცალკეული ნაწარმოებების განხილვის ინიციატორები და ორგანიზატორები, თავიანთი წვლილი უნდა შეჰქონდეთ სოციალისტური რეალიზმის თეორიული პრობლემების შემუშავებაში“...

ლიტერატურული ანკეტის დაწყების წინ საგანგებოდ აღვნიშნეთ, რომ როცა კრიტიკის საარსებო, მწვავე პრობლემებზე მივაქცევთ ჩვენი საზოგადოებრიობის ყურადღებას, სულაც არ ვივიწყებთ იმ მაღალპროფესიულ წერილებს, რომელთაც დროდადრო ჩვენი ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ვკითხულობთ, კარგად ვხედავთ იმ ფუნდამენტურ გამოკვლევებსაც, ჩვენი ლიტერატურის ისტორიკოსები რომ აქვეყნებენ და არც იმ წიგნების ლიტერატურული ღირებულება გვინდა დავამციროთ, რომელთა გამოჩენამ ბოლო ხანს გააძლიერა ჩვენი სალიტერატურო აზრი, დაადასტურა ჩვენი კრიტიკოსების სწრაფვა ლიტერატურული აზროვნების თანამედროვე დონისაკენ... კრიტიკის პრობლემებზე საუბრის წამოწყება ისევ იმ მთავარმა სურვილმა განაპირობა, რომ კრიტიკა იყოს უფრო აქტიური, უფრო ქმედითი, უფრო შეურიგებელი ყოველგვარი იდეურ-მხატვრული წუნისადმი, უფრო გულწრფელი მწერლობისა და მკითხველის წინაშე და, ბოლოს, უფრო ღრმა, როგორც მხატვრული ლიტერატურის დამოუკიდებელი ჟანრი.

არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღინიშნოს, რომ ჩვენი კრიტიკოსების პასუხებში მრავალი პრობლემა გამოიკვეთა. ეს მეტად საინტერესო, წმინდა ლიტერატურული პრობლემებია. ისინი ერთხელ კიდევ ადასტურებენ, რომ ქართული ლიტერატურული ცხოვრება ვერ განვითარდება კარჩაკეტილად, საერთოსაკავშირო და მსოფლიო ლიტერატურული ცხოვრებისაგან მოწყვეტით, რომ ტენდენციები, რაც ჩვენში აღმოცენდება და ვითარდება, არსებითია საერთოდ ლიტერატურული ცხოვრებისათვის.

ანკეტის პასუხები გასცდა ჩვეულებრივი კითხვა-პასუხის ფარგლებს, დაარღვია „საგაზეთო ჟანრის“ ჩარჩოები და კრიტიკოსებმა ფაქტიურად შემოგვთავაზეს საინტერესო, მაღალპროფესიული, ლიტერატურული წერილები, პრობლემისადმი პატიოსანი მიდგომითა და ანკეტისათვის აუცილებელი გულახდილობით.

უნდა ითქვას, რომ დასაწყისში ანკეტის მონაწილეთა უმრავლესობა ერთგვარი ეჭვით უყურებს კრიტიკის პრობლემებზე ჩვენში გამართულ საუბრებს, თვლის, რომ კრიტიკაზე ჩივილი მოდად იქცა, რომ კრიტიკის ჩამორჩენაზე საუბარი ბანალური და ტრივიალურიც კი გახდა.

რატომ არ გვეკითხებით, რა აზრისა ვართ ლიტერატურის სხვა ჟანრებზე, გვაკმაყოფილებს თუ არა, ვთქვათ, პროზის, პოეზიის, დრამატურგიის დონე, — კითხვას უკან აბრუნებენ ანკეტის მონაწილენი. მაგრამ ამ გულწრფელ პროფესიულ „გაცხარებას“, საბედნიეროდ, მოსდევს დინჯი მსჯელობა, ცდა იმისა, რომ ღრმად გავერკვეთ ჟანრის დღევანდელ მდგომარეობაში, იმ მიზეზებში, რაც ობიექტურად ხელს უშლის მის ყოველმხრივ განვითარებას.

მონაწილეთა თითქმის ყველა პასუხი მძაფრად პოლემიკურია. კრიტიკოსის უხილავი ოპონენტი ზოგჯერ მწერალია, ზოგჯერ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები, ზოგჯერ თავისივე კოლეგა ან მკითხველი... ეტყობა, დუღს პოლემიკის შინაგანი სურვილი, კამათის, ლიტერატურული შეხლა-შემოხლის, აზრთა ჭიდილის, შეხედულებათა წინააღმდეგობის სურვილი, როცა მოკამათენი კამათის შემდეგაც ერთმანეთისათვის კეთილისმყოფელ კოლეგებად რჩებიან, როცა კამათს ჭეშმარიტებასთან მიახლოების სურვილი წარმართავს, როცა მთავარია ობიექტურ კანონზომიერებათა დადგენა და არა ანგარიშსწორების სულმოკლე ვნება.

პასუხებში განსაკუთრებით გამოიკვეთა ლიტერატურული ეთიკის პრობლემა. დისკუსიის ყველა მონაწილე მოითხოვს, რომ დროა გზა გადაეღობოს კრიტიკის დროშით მოძალებულ განმაქიქებელ წერილებს, მწერლის დაუფარავ ლანძღვას, ცინიკურ ტონს, ნაწარმოებში იმის უსირცხვილო ქექვას, რაც ნამდვილად არა ძევს, პირად ანგარიშსწორებაზე დაფუძნებულ „მოთხრის“ და „ამოგდების“ მდაბალ სურვილს. კრიტიკოსთა აზრით, განსაკუთრებით უნდა ამაღლდეს ჟურნალ-გაზეთების რედაქციების პასუხისმგებლობა. რედაქციამ შეუნიშნავად არ უნდა დატოვოს, რედაქციას არ უნდა გაეპაროს არამც თუ მთელი წერილები და სტატიები, არამედ არც ერთი ფრაზა, არც ერთი ეპითეტიც კი, რომელშიც გამოსჭვივის ცუდად შენიღბული სურვილი ვინმეს განქიქებისა, საზოგადოების, მკითხველის წინაშე „დამუშავებისა“ და აბუჩად აგდებისა, „პროფესიული უზრდელობისა“. ყოველ კრიტიკულ წერილს, ყოველ პოლემიკას სჭირდება რედაქციის წარმმართველი, მაორგანიზებელი ხელი, განსჯა უმაღლესი და უწმინდესი კრიტერიუმებიდან.

კრიტიკოსებმა ყურადღება გაამახვილეს კრიტიკის მოუთმენლობაზეც, კრიტიკული შენიშვნების გამო მწერლის მტრულ რეაქციაზეც, მათი ღრმა რწმენით, ყველაზე მწარე სიმართლეც კი შეიძლება მწერალს უთხრა კეთილსინდისიერად, პროფესიული დამაჯერებლობით... ჩვენს მწერლობას ზოგჯერ სწორედ ეს არ ყოფნის, გულწრფელად ნათქვამი სიტყვის გულწრფელად გაგება. პანეგირიკს და დაფნის გვირგვინს შეჩვეული მწერალი ზოგჯერ სულ მცირე შენიშვნაზეც კი წონასწორობას კარგავს, კრიტიკოსში მხოლოდ მტერს ხედავს, ჯიუტად არ სურს საკუთარი ნაწარმოების კრიტიკოსის თვალით გადაკითხვა... ამის მიზეზი კი ისიცაა, რომ ჩვენში ჯერ კიდევ ვერ ჩამოყალიბდა ლიტერატურული საუბრის კულტურა, „ვერ მივაღწიეთ კეთილმოსურნე და თანაბარუფლებიანი მხარეების დიალოგს, ვერ ვახერხებთ მწერლისათვის შენიშვნის ისე მიცემას, რომ არ შეურაცხვყოთ იგი, არ შევეხოთ უხეშად მის ინდივიდუალობას“.

ეს პრობლემა, თავის მხრივ, როგორც ვთქვით, უკავშირდება დაუფარავად მოძალებულ ნიველირებას, ყველაფრის ერთ დონეზე გათანაბრებას, ყველაფრის დაუმსახურებლად ქებას, ყველა ნაწარმოების გამოცხადებას მწერლის და მწერლობის გამარჯვებად. აქედან გამომდინარე, მართებულია კრიტიკოსთა მოთხოვნა რედაქციების, შემოქმედებითი ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მიმართ: კრიტიკოსს ყოველმხრივ უნდა მივცეთ საშუალება თავისუფლად, რიდისა და შიშის გარეშე ბეჭდოს მოყვარული პოზიციიდან, პატიოსანი ლიტერატურული პოზიციიდან დაწერილი სტატიები ყველა ნაწარმოებზე და ყველა ავტორზე. სინამდვილეში კი, ანკეტის მონაწილეთა აზრით, ყოველი მძაფრი კრიტიკული წერილის დაბეჭდვა დაკავშირებულია საკმაოდ დიდ სიძნელეებთან, მაშინაც კი, როცა წერილი ობიექტურია, პროფესიულად მაღალი დონისა, და არავის ლანძღვას არ ისახავს მიზნად. ამის მიზეზს დისკუსიის მონაწილენი იმაშიც ხედავენ, რომ „ჩვენზე დაწერილ ყოველ სიტყვას, ყოველ კრიტიკულ შენიშვნას ლიტერატურული ასპექტით კი არ აღვიქვამთ, ვუკავშირებთ პრაქტიკულ ცხოვრებას და ჩვენი უფლებებისა და მიღწეული მდგომარეობის ხელყოფად მივიჩნევთ“.

ანკეტის მონაწილეთა პასუხებში განსაკუთრებით გამოიკვეთა კრიტიკოსის პროფესიული სიამაყე, გულწრფელი განცდა იმისა, რომ კრიტიკა არ არის მხოლოდ სხვა ლიტერატურული ჟანრების ხელისშემწყობი, პროზასა, პოეზიასა და დრამატურგიაში კარგისა და ცუდის განმჩხრეკი; რომ კრიტიკა თავადაც დამოუკიდებელი, სრულუფლებიანი ლიტერატურაა; რომ კრიტიკას, არ უნდა წავართვათ ლიტერატურული არსი, ლიტერატურული გვარის თვისება; რომ კრიტიკოსი თავადაც უნდა ცდილობდეს თვით კრიტიკის ფარგლებში ესთეტიკური ღირებულების, ჟანრობრივი ნაირგვარობის შექმნას; რომ კრიტიკოსი უნდა იყოს საინტერესო პიროვნება, ჰქონდეს საკუთარი აზროვნების სტილი, ქმნიდეს კრიტიკის ესთეტიკას. როცა განმტკიცდება კრიტიკის, როგორც ლიტერატურული ფენომენის მდგომარეობა, უკან დაიხევს ის მომძლავრებული არაპროფესიონალიზმი, რომელმაც ლამის წალეკოს ჩვენი ჟურნალ-გაზეთები. ამაზე ჩვენს მოწინავე წერილშიც ვწერდით... ვწერდით, რომ საუკეთესო, მაღალი ესთეტიკური დონის კრიტიკული წერილები და თვით დიდტანიანი წიგნები და გამოკვლევები ჩვენს ლიტერატურულ ცხოვრებაში მხოლოდ სასიამოვნო გამონაკლისებად რჩებიან, რადგან იჩქმალებიან, იძირებიან იმ ზღვა მასალაში, რომელთაც არაპროფესიული, „ლიტერატურისმოყვარეთა“ ე. წ. კრიტიკა გვთავაზობს. ესაა უთვალავი სარეკლამო ანოტაციები, გამოხმაურებანი, შთაბეჭდილებანი, ინტერვიუები თუ დიალოგები, რომელთაც დანიშნულება იქნებ კეთილშობილური ჰქონდეთ — ლიტერატურის ახალ ნაწარმოებთა პროპაგანდა, მაგრამ ამ დანიშნულებას ოდნავადაც ვერ ამართლებენ, პირიქით, უმწიფარი, არაპროფესიული, არაკომპეტენტური მსჯელობით, ნებით თუ უნებლიეთ, აბნევენ მკითხველს.

ცხადია, ვერ დავისახავთ მიზნად კრიტიკოსთა მიერ წამოჭრილ ყველა საკითხზე საუბარს. პრობლემა ბევრია და მნიშვნელოვანი. ჩვენი კრიტიკოსები ამ პრობლემებზე ღრმად და ამომწურავად მსჯელობენ. რედაქცია შორსაა იმ აზრისაგან, რომ ამ ლიტერატურული ანკეტით ყველა მწვავე პრობლემა გადაწყდა. ჩვენ მხოლოდ საშუალება მივეცით კრიტიკოსებს, რათა ჟანრის დანიშნულებაზე, უფლებებსა და მოვალეობაზე პრინციპულად და გულახდილად ემსჯელათ. ის საჭირბოროტო პრობლემები კი, რომელნიც ერთხმად წამოჭრეს კრიტიკოსებმა, უნდა გადაწყდეს ერთიანი ძალით, კრიტიკოსების, ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთების რედაქციების, შემოქმედებითი ორგანიზაციების გაერთიანებული ძალით.

დღეს მთელი ჩვენი ქვეყანა ემზადება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVI ყრილობისათვის. ჩვენ გვახსოვს ის გულმხურვალე სიტყვები, რაც ჩვენი პარტიის XXV ყრილობაზე ლიტერატურისა და ხელოვნების შესახებ ითქვა. ლიტერატურისა და ხელოვნების ნიჭიერი ნაწარმოებები ჩვენი პარტიის ყველაზე მაღალი ტრიბუნიდან ეროვნულ სიმდიდრედ გამოცხადდა. გვჯერა, რომ პარტიის მორიგი ყრილობაც საპატიო ადგილს დაუთმობს კომუნისტური აღზრდის, მასების ესთეტიკური და ზნეობრივი აღზრდის ისეთ ნაცად იარაღს, როგორიცაა ლიტერატურა და ხელოვნება.

თანამედროვე მსოფლიოს მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში საბჭოთა მწერლობა ქმნის ხალხთა მეგობრობის, ჰუმანიზმის, ყველაზე მოწინავე იდეალების ლიტერატურას. ქმნის გმირებს, რომლებიც განასახიერებენ კაცთა მოდგმის წმიდათაწმიდა ადამიანურ თვისებებს. საბჭოთა მწერლის პარტიული შეგნება ეს არის პოზიცია მხატვრისა, რომლისთვისაც მთავარია ხალხი, კაცობრიობა, ნათელ მომავალზე ფიქრი. განუზომელია მწერლის პასუხისმგებლობა თანამედროვეობის წინაშე, ყველა პატიოსანი, მოწინავე იდეალების ნაწარმოები, რა ჟანრისა და ფორმისაც არ უნდა იყოს იგი, დღეს თანამედროვეობის სამსახურში დგას. ასეთ დროს უფლება არა გვაქვს არ ვიბრძოლოთ მაღალი მხატვრული დონისათვის, რადგან მოწინავე იდეალებს, მხოლოდ და მხოლოდ ჭეშმარიტი ლიტერატურა, მაღალმხატვრული ლიტერატურა განამტკიცებს.



პლაკატი გ. ლომიძისა

სიტყვა ეძლევა კრიტიკოსს

გურამ ასათიანი:

1. როცა საუბარი რისიმე დონეზეა, ჯერ უნდა შევთანხმდეთ, რას ვგულისხმობთ ამოსავალ მოცემულობად, საიდან ვიწყებთ გადათვლას.

თუ ჩვენი ლიტერატურული კრიტიკის საერთო მდგომარეობას იმას შევადარებთ, რა ვითარებაც ამ დარგში ოცდაათიწლის წინ იყო, შეიძლება ითქვას, რომ საერთო დონე უთუოდ ამაღლდა.

მაშინ, ლიტერატურაში ყველაფერი ჩვეულებრივ „ერთი არშინით" იზომებოდა, ახლა სხვა, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, სხვადასხვა კრიტერიუმები მოქმედებენ. ლიტერატურული ნაწარმოებები განიხილება იმის გათვალისწინებით, რომ ეს არის მრავალგანზომილებიანი მხატვრული ფენომენი და არა უბრალო პლაკატი, რომლის ღირსება იოლად მოწმდება. კრიტიკოსების უმრავლესობა ანგარიშს უწევს ამ პოსტულატს. და შეძლებისამებრ ერიდება ‚ნაწარმოების სწორხაზოვან შეფასებას.

მაგრამ თუ ამ საერთო დონეს იმას შევადარებთ, რაც ჩვენ გვსურს და მოგვეთხოვება, მაშინ, უნდა ვაღიაროთ, ჯერ კიდევ ძალიან შორსა ვართ სასურველი სიმაღლისაგან.

„ღირსებაზე" არსებითად უკვე მოგახსენეთ, „ნაკლი" ბევრი გვაქვს და ყველას ვერ გავწვდები.

მთავარი, მე მგონი, ის არის, რომ კრიტიკა დღემდე ღარიბი ნათესავის მდგომარეობაში გვყავს, არა სიღარიბის თვალსაზრისით, არამედ იმის გამო, რომ გულით არ გვიყვარს.

ძალიან რბილად ვამბობ, თორემ თუ სრულ სიმართლეზე მიდგა — ცეცხლივით გვეშინია კრიტიკის! აბა ყველამ ჩავიხედოთ ჩვენს გულში, წარმოვიდგინოთ, როგორ ხასიათზე დავდგებით, ის ჩვენი სისუსტეები, რასაც ჩვენ თვითონ საკმაოდ ნათლად ვგრძნობთ, სხვამ რომ ამხილოს საჯაროდ.

რა მოგვივიდა?!

კრიტიკისადმი დამოკიდებულება საზოგადოების კულტურული, ინტელექტუალური განვითარების მაჩვენებელია.

კულტურის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი განსხვავებული აზრების თავისუფალი, შეუზღუდველი თანაარსებობაა. თანაარსებობა შეიძლება მშვიდობიანიც იყოს, მძაფრიც, ანტაგონისტურიც — მწერლობისათვის არცერთი მათგანი საშიში არ არის. პირიქით, სრულფასოვანი ლიტერატურული ცხოვრება შეუძლებელია ასეთი შინაგანი მრავალფეროვნებისა და წინააღმდეგობების გარეშე.

კიდევ უფრო შიშვლად ვიტყვი: კრიტიკის შიში უკულტურობის, ველურობის ნიშანია.

მრცხვენია ამას რომ ვწერ, მაგრამ რამხელა გზა გვაქვს კიდევ გასავლელი, რომ სასურველ მიჯნას მივუახლოვდეთ.

კრიტიკისადმი სალი დამოკიდებულება ადამიანში ახალგაზრდობიდანვე უნდა აღიზარდოს. საკუთრივ კრიტიკაც, ჩემი ღრმა რწმენით, ახალგაზრდობის საქმეა. ყველანაირად უნდა შევუწყოთ ხელი იმ ახალგაზრდა ლიტერატორებს, რომლებსაც ამ საქმისათვის ემეტებათ თავი. დაე, კრიტიკა ტენდენციური იყოს. ნუ შევკრთებით. ოღონდ ეს იყოს ლიტერატურული ტენდენცია.

მომეწონა მურმან ჯგუბურიას „ცისკარში" დაბეჭდილი წერილი. მიუხედავად იმისა, რომ ამ წერილში მეც საკმაოდ მწარედ გადმომკრეს.

მის ავტორს, როგორც პოლემისტს, ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. სამაგიეროდ აქვს მთავარი: კრიტიკული, უშელავათო დამოკიდებულება მასალისადმი, ეს წერილი რომ წავიკითხე, მხიარულ გუნებაზე დავდექი. ეს კი ცოტას არ ნიშნავს.

კრიტიკოსისთვის ყველაზე მომაკვდინებელია, როცა მას მოწყენით უსმენენ.

2. აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას ჩვენი კრიტიკოსები, რამდენიმე მიზეზის გამო გაურბიან, აქ გონების ერთგვარი სიზანტეც თამაშობს როლს, სიმხდალეც, გულგრილობაც იმისადმი, რაც ამჟამად ხდება, წყნარი ცხოვრების სურვილიც. განსაკუთრებით კი კრიტიკოსის ყალბი მდგომარეობა ჩვენში.

3. დღევანდელი ქართული პოეზიაც, დრამატურგიაც და განსაკუთრებით პროზა უთუოდ იძლევა ღრმა ლიტერატურული აზროვნების საფუძველს.

4. სალიტერატურო კრიტიკის გააქტიურებისათვის აუცილებელია ხშირი დისკუსიები ჩვენი მწერლობის ნამდვილად აქტუალურ, ნამდვილად სადაო საკითხებზე, წინასწარ გააზრებული დღის წესრიგით, რომელიც საშუალებას მოგვცემს, ერთდროულად მოვუსმინოთ რამდენიმე „მხარეს", ყოველგვარი რეგლამენტაციის გარეშე.

ზოგიერთ შემთხვევაში, შესაძლოა, კრიტიკოსს ფსევდონიმით დაბეჭდვის საშუალებაც უნდა მიეცეს, საიდუმლოების ასპროცენტიანი გარანტიით. ყველა ავტორმა უნდა იწამოს, რომ გამხელილი კრიტიკული აზრი მისთვის საშიში არ არის. საშინელებაა, როცა ზურგსუკან დაგცინიან, აბუჩად გიგდებენ, პირში კი თავაზიანად გიღიმიან.

ადამიანს, რომელმაც გულწრფელად გითხრა თავისი აზრი შენს შესახებ, პატივს უნდა სცემდე, უმადლოდე, უნდა გიყვარდეს ასეთი ადამიანი. თორემ, აბა რა გამოდის, როდემდის შეიძლება თავის მოტყუება?! განა საკუთარი თავის უცდომელ, სრულქმნილ არსებად წარმოდგენა ხანდახან მაინც მოსაბეზრებელი არ არის?

ახალგაზრდობაზე იმის გამოც ვაკეთებ აქცენტს, რომ ამ მხრივ აჩქარებაც არის საჭირო. ვიდრე ფადიშაჰად დაგვსვამდნენ, მანამდე უნდა მოასწრო შენს შესახებ სიმართლის გაგება, თორემ ამის შემდეგ ძალიან ძნელია ჩვენს პირობებში, პრაქტიკულად გამორიცხულია...

შესაძლოა, ეს იდეალიზმია, მაგრამ მე მაინც ასე ვფიქრობ: უწინარეს ყოვლისა თითოეულმა ჩვენგანმა უნდა აღზარდოს თავის თავში კრიტიკის სიყვარული, კრიტიკისადმი უშიშარი დამოკიდებულება, თავდაუზოგავად, გააფთრებით, დაუნდობლად უნდა ებრძოლოს ცრუ-პატივმოყვარეობის სენს, რომელსაც იმდენივე აქვს საერთო ნამდვილ ადამიანურ ღირსებასთან, რაც კატის მფრთხალ ცინდალს ნამდვილ ლეოპარდთან, ან ბავშვების მიერ განებივრებულ თუთიყუშს მთის არწივთან.

ზაზა აბზიანიძე:

1. ქართულ კრიტიკას ისე ხშირ-ხშირად ესინჯება მაჯა, ახლა კიდევაც რომ ვთქვა, არაფერი გვიჭირს-მეთქი, არავინ დამიჯერებს. დიახ, დღევანდელი ქართული კრიტიკის დონე მეც არ მაკმაყოფილებს, მაგრამ კრიტიკის დამთრგუნავ მიზეზთა შემყურეს, სხვათაგან განსხვავებით, დღევანდელი დონის არსებობაც კი მაკვირვებს.

ზემონახსენებ მიზეზთაგან უმთავრესნი ობიექტური ხასიათისაა და საკმაოდ თვალნათელია. ასე, მაგალითად, ცნობილია, რომ მცირე და დიდ რიცხვთა ჯგუფები, მიკრო და მაკრო საზოგადოებები თვისობრივად ურთიერთგანსხვავებული კანონებით განისჯება; ეს თვალსაზრისი მწერალთა თანამეგობრობასაც რომ მივუსადაგოთ, ერთ პარადოქსს წავაწყდებით: მწერალთა ოჯახი მრავალრიცხოვანი კია, მაგრამ მიკროსაზოგადოების კანონებით ცხოვრობს; ამგვარი საზოგადოება ყველაფრად კარგი შეიძლება იყოს, მაგრამ წარმმართველი ძალა აქ პიროვნულ ურთიერთობებს ენიჭება და ამიტომაც საჯარო კრიტიკას, როგორც მრავალრიცხოვანი საზოგადოების ურთიერთობის ფორმას (აქედან გამომდინარე — როგორც ლიტერატურულ ჟანრს), ვერა და ვერ ეთვისება. იქ, სადაც ჩვენი მწერლები მიკროსაზოგადოებას უკვე ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობითაც ჰქმნიან (დაჯგუფებებს ნუღარ გავედევნებით, ჩვენი პატარა ქალაქები გავიხსენოთ) — პირუთვნელ კრიტიკაზე საერთოდ ზედმეტი ხდება ლაპარაკი. დანარჩენ ობიექტურ მიზეზთა ჩამოთვლას აღარ შევუდგები, შორს წაგვიყვანდა...

ახლა მიზეზთა მეორე, სუბიექტური წყება. სუბიექტური მიზეზები კიდევ იმიტომაცაა სუბიექტური, რომ ყოველი ჩვენთაგანი ამა თუ იმ მათგანს ანიჭებს პირველობას. ვფიქრობ, ჩვენი კრიტიკის წინსვლას მცირერიცხოვნობა იმდენად არ უშლის ხელს, რამდენადაც საერთო, აქსიომად აღიარებული ესთეტიკური კრიტერიუმების უქონლობა. სიმცირე ჯერ კიდევ სისუსტეს არ ნიშნავს. ლიტვაში სულ ცამეტი კრიტიკოსია, მაგრამ შესაშურია ის ზნეობრივი და პროფესიული ავტორიტეტი, რომელიც ლიტვური კრიტიკის სკოლამ მოიპოვა. შესაშურია ის გულწრფელობაც, რომლითაც ჩვენს ლიტველ კოლეგას შეუძლია თავის ხელობაზე ილაპარაკოს. მაგალითებით თავს არ შეგაწყენთ, ერთ ნაწყვეტს გავიხსენებ მხოლოდ ჩვენთან გამოქვეყნებული ალბერტას ზალატორიუსის საუბრიდან: „ახალი კრიტიკისადმი" განსაკუთრებული კეთილგანწყობა მაქვს. შესაძლებლობისდაგვარად თვალს ვადევნებ მის წარმომადგენელთა შრომებს... მაგრამ დაინტერესება ერთია, მეორე კი — პრაქტიკაში შემოქმედებითი გამოყენება. აზროვნების ინერცია და სხვა ბარიერები მიშლის ხელს".

ისეთი შეგრძნება მეუფლება, რომ დღეს ქართული კრიტიკა გზაჯვარედინზე დგას და სწორ გეზს ეძებს, თავისსავე შინაგან პრობლემებს უფიქრდება. თუკი ბოლოდროინდელ მიღწევებზეა ლაპარაკი, სწორედ ეს თვითჩაკვირვება მიმაჩნია მის მთავარ მიღწევად.

2. აქ კვლავ პირველი კითხვის პასუხს ვუბრუნდები. ალმანახ „კრიტიკაში" გამოქვეყნებულ ერთ-ერთ დიალოგში უკვე ვთქვი, თუ რატომ გაურბიან კრიტიკოსები აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას. ახლა გამეორება მომიწევს: კრიტიკა — უმადური ხელობაა: მწერლის სახელი სოციალურ პრესტიჟს დაუკავშირდა და ცოტაა ისეთი მწერალი, რომელმაც კრიტიკულ წერილში მოქცეული ლიტერატურული შეფასებების მიღმა არ დაიწყოს ცქერა. დებიუტანტი, როგორც წესი, თქვენს რეცენზიას პირველი წიგნის გამოსვლას უკავშირებს, პირველი წიგნის ავტორი — მწერალთა კავშირში მიღებას, მეტნაკლებად ცნობილი მწერალი — უკვე დამკვიდრებული ლიტერატურული რეპუტაციის განმტკიცებას ან პირიქით — შელახვას. ისეთი მწერალიც მოიძებნება, რომლის ყველა იმედი (თუ ილუზია) სწორედ იმ პუბლიკაციის ნიადაგზე საზრდოობდა, თქვენ რომ პირუთვნელობის მდუღარე გადაასხით. ახლა, ამ კაცის წარმოსახვაში, „არამკითხე" კრიტიკოსმა მას მწერალთა კავშირის კარიც ჩაურაზა, ბინას თუ მოელოდა — ისიც წაართვა... რაღა უნდა გაუკეთოს ერთმა ადამიანმა მეორეს ამაზე უარესი. გასაკვირი არ არის, რომ კრიტიკოსი დაუფარავი სიძულვილის ობიექტი ხდება. ჩვენი „ამქრის" ერთი ნაწილი უდრტვინველად იტანს ამ პროფესიულ, მავნე „ოხშივარს" (ბარაქალა მათ!), მეორე ნაწილს (მგონი ვცოდავ!) — . რაღაც თვითმაყოფილების მსგავსიც კი უჩნდება; და, ბოლოს — დანარჩენთათვის ამგვარ სამიზნედ ყოფნა ისეთ სულიერ ტრავმებთანაა დაკავშირებული, რომ თვითშენახვის ინსტინქტი ჰკარნახობს მათ, რაიმე უფრო უვნებელი ხელობა მოძებნონ.

3. დღევანდელი ქართული პროზის, პოეზიის, დრამატურგიის პრობლემატიკაც და მხატვრული ძიებანიც მართლაც იძლევა მაღალი დონის კრიტიკული აზროვნების საფუძველს. მაგრამ, ვფიქრობ, ასე რომც არ ყოფილიყო და ქართული მწერლობის რომელიმე ჟანრს დაღმავლობა დამჩნეოდა — კრიტიკას კიდევ უფრო ჩაკვირვებული და უტყუარი პასუხი უნდა გაეცა ამა თუ იმ მტკივნეული პროცესის წარმომავლობასა და მიზეზებზე.

4. მე მგონი სწორედ საორგანიზაციო საკითხები მოგვარდა სხვაზე უკეთ: რახანია გამოდის ალმანახი „კრიტიკა"; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში დაარსდა მიმდინარე ლიტერატურული პროცესის შემსწავლელი განყოფილება; ამ განყოფილების თაოსნობით „საბჭოთა საქართველო" გამოსცემს თანამედროვე ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილი ნარკვევების სერიას, ხოლო მხატვრული თარგმანისა და ლიტერატურულ ურთიერთობათა მთავარი სარედაქციო კოლეგია — ყოველწლიურ კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიულ მიმოხილვას. კრიტიკული სტატიების საინტერესო, პრობლემური კრებული ისტამბება „მერანში"... ახლა ისღა დაგვრჩენია ჩვენს საწერ მაგიდებს მივუბრუნდეთ.

ლერი ალიმონაკი:

თანამედროვე ქართული კრიტიკის დონე რომ შევაფასოთ, ჯერ ის საზომები უნდა დავადგინოთ, რითაც მისი ხარისხი ისაზღვრება. ეს საზომები კი თვით კრიტიკაშივე ძევს. კრიტიკა უნდა ფასდებოდეს იმავე საზომებით, რითაც და როგორც თვით აფასებს მხატვრულ შემოქმედებას. მაგრამ საკითხავია, რა საზომებით აფასებს დღევანდელი კრიტიკა მხატვრულ ლიტერატურას? რას მოითხოვს მწერლობისაგან და საკუთარი თავისაგან?.. მკითხველს ალბათ გაუკვირდება ეს კითხვები: როგორ, ჯერ კიდევ არ გარკვეულა კრიტიკის ამოცანები, არ დადგენილა მისი მეთოდური კავშირები მხატვრულ შემოქმედებასთან?! როგორ არ გარკვეულა, ყველაფერი დიდი ხანია გარკვეულია, მაგრამ დავივიწყეთ; თუ სრულიად არა, ნაწილობრივ მაინც დავივიწყეთ!

სამწუხაროდ, იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ შევხვდებით კრიტიკულ ნაშრომს, სადაც საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული და სინთეზირებული მხატვრული ქმნილების ხრა მხოლოდ ფორმისმიერი საკითხები, არამედ სოციალური, ფილოსოფიური, ფსიქოლოგიური, რელიგიური თუ ზნეობრივ-ეთიკური ასპექტები. ბოლოს და ბოლოს, მხატვრული ნაწარმოების მიზანი განა ეს არ არის?! ფორმა კი ამ მიზნის თუ შედეგის ორგანული ამონაზარდია. ეს ორი მხარე ბუნებრივად ერწყმის ერთმანეთს. რაც უფრო ღრმაა მსოფლმხედველობრივი სამყარო, მით უფრო სრულყოფილია მისი შესატყვისი მხატვრული ფორმა; და რაც უფრო მაღალმხატვრულია ნაწარმოები, მით უფრო ღრმა და რთული მსოფლმხედველობის მქონეა იგი. ასე რომ, ერთი ასპექტის საფუძვლიანი ანალიზი, მეორე ასპექტის ანალიზსაც ნიშნავს. ეს ერთიანი და განუყოფელი პროცესია და კრიტიკის მოვალეობაა შეასრულოს ამ ერთიანი პროცესის როგორც ანალიზი, ისე სინთეზი. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს სწორედ ამ მთავარს არიდებს თავს კრიტიკა; ან ვერ ამჩნევს, ან არ უნდა შეამჩნიოს იგი. ხშირად გვავიწყდება, რომ მხატვრული ქმნილების სახით ჩვენს წინ ლიტერატურის ესა თუ ის ჟანრი კი არ ძევს, არამედ თვით ცხოვრება — მთელი თავისი სიღრმით გადაფენილი. მისი შემეცნება კრიტიკისათვისაც ისევე აუცილებელია, როგორც მწერლობისათვის.

კრიტიკის უპირველესი დანიშნულება იყო და არის მხატვრული ქმნილების მხატვრული ანალიზი, რომელიც უნდა მოიცავდეს როგორც ფორმისმიერ, ისე მსოფლმხედველობრივ ასპექტებსაც; იკვლევდეს ყველა იმ ზნეობრივ თუ ეთიკურ, სოციალურ თუ ფილოსოფიურ თვალსაზრისებს, რითაც მწერალი აგებს თავის ქმნილებას. ეს კონკრეტული ანალიზი ბუნებრივად მიგვიყვანს განზოგადებამდე. მე მიმაჩნია, რომ ასეთი კვლევის დროს კრიტიკოსი უნდა ამკვეთრებდეს მწერლის თვალსაზრისებს, მის მსოფლმხედველობრივ შეხედულებებს; ხაზს უნდა უსვამდეს იმ მტკივნეულ პრობლემებს, რაც ერის სულიერ დვრიტას განსაზღვრავს. კვლევის ეს პრინციპი ხოტბა და გადაჭარბება კი არ არის, როგორც ხშირად ჰგონიათ ხოლმე, არამედ მწერლის მსოფლმხედველობითი შეხედულებების გადიდებულად წარმოჩენაა. თუ ეს კრიტიკული ემფატიკურობა გამოირიცხა კრიტიკული ნააზრევიდან, იგი ვერ გაშორდება შინაარსის გადმოცემის ფარგლებს.

გარდა იმისა, რომ კრიტიკა უნდა აანალიზებდეს მხატვრულ ქმნილებას და თვადაც გარკვეული მხატვრული ღირებულების მქონე იყოს, უნდა შეიცავდეს კიდევ რაღაც მესამეს, დამოუკიდებელ ცოდნას, რაც წლების გავლის მერეც არ დაჰკარგავს თავის მნიშვნელობას. ყოველივე ამას, ჩემი აზრით, მოკლებულია თანამედროვე ქართული კრიტიკა. ზოგჯერ ივიწყებენ კრიტიკის ამ უპირველეს დანიშნულებას და იგი ლიტერატურის რეგისტრატორად წარმოუდგენიათ, რასაც არაფერი აქვს საერთო მხატვრულ კრიტიკასთან. ხშირად, კრიტიკის ნიშნით ვაწვდით მკითხველს ლიტმცოდნეობით და ფილოლოგიურ გამოკვლევებს. ამიტომ აქვს კრიტიკას შელახული ავტორიტეტი. სწორედ ეს მიმაჩნია ქართული კრიტიკის ძირითად ნაკლად და ამიტომ არ მაკმაყოფილებს, იშვიათი გამონაკლისის გარდა, მისი დღევანდელი დონე. რაც შეეხება მიღწევას, რაიმე განსაკუთრებულ თვისობრივ ამაღლებას ვერ ვატყობ თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკას.

მე მოგახსენეთ თვით კრიტიკიდან გამომდინარე მიზეზებზე. მაგრამ სხვა მიზეზებიც არის... წერ და არ იცი, რა ბედი ეწევა შენს ნაწერს, წერ და არ იცი, როდის დაიბეჭდება და სად, რა მოცულობით და რა სახით, ან საერთოდ დაიბეჭდება თუ არა. ეს, ცხადია, ანელებს შემოქმედებითს აქტიურობას. ყველას არა აქვს სურვილი ამგვარ „მოღვაწეობას" შეალიოს თავისი უნარი და ენერგია. კრიტიკოსს წინასწარ აკრთობს ვერდაბეჭდვის შიში, გაურბის ღრმა ანალიზის მქონე წერილების წერას და უფრო „მშვიდობიან ფორმებს", აფარებს თავს.

მაგრამ მიზეზები კიდევ არის. ეს არის მწერლობის უგულებელმყოფელი, ზოგჯერ უდიერი და ირონიული დამოკიდებულება კრიტიკისადმი. საბედნიეროდ, იშვიათი გამონაკლისის კანონი აქაც მოქმედებს, როცა კრიტიკა ლიტერატურის ღირსეულ მემკვიდრედ მიაჩნიათ და არა მის დანამატად.

ისეთი წარმოდგენაა შექმნილი, თითქოს ყველა ლექსისა და მოთხრობის ყველა მწერალი აუცილებლად პრივილეგირებული იყოს კრიტიკოსთან შედარებით; თითქოს მწერალი უფრო მძაფრად განიცდიდეს ცხოვრების სატკივარს, ხოლო კრიტიკოსი განცდების მეორადი, გაშუალებული საშუალებებით უკავშირდებოდეს მას; თითქოს კრიტიკოსს არ გააჩნდეს თავისი პიროვნული ინდივიდუალობა, არ ჰქონდეს თავისი საკუთარი დამოკიდებულება გარესამყაროსთან მიმართებაში, არ ფლობდეს განსაკუთრებულ მხატვრულ და მსოფლმხედველობრივ თვალსაზრისებს!.. ნუ დავივიწყებთ, რომ კრიტიკოსსაც შეუძლია, ბოლოს და ბოლოს, დაწეროს ის საშუალო ლექსი თუ მოთხრობა, რითაც მიმოფენილია ჩვენი ლიტერატურული ჟურნალ-გაზეთები. კრიტიკისადმი ასეთი „ბატონკაცური" დამოკიდებულება იგნორირებაა არა მხოლოდ კრიტიკისა, არამედ მხატვრული ლიტერატურისაც, რადგანაც მწერლობა ეროვნული სულის თვითგამოხატვის ერთიანი და განუყოფელი პროცესია. ამ ურთულეს პროცესში, რაღა თქმა უნდა, თავისი დიდი წვლილი მხატვრულ შემოქმედებას შეაქვს; ხოლო თუ კრიტიკა ძმასავით უდგას მხარში მშობლიურ მწერლობას და იზიარებს მის ჭირ-ვარამს, ამისთვის განა „დასაგმობია და წასაღები წყალისა"?! ერის საკურთხეველზე ზოგს დიდი რამ მიაქვს, ზოგს მცირე; მაგრამ წვლილი წვლილია, როცა იგი გულწრფელად არის გაღებული. ასეთი საპატიო იერარქია მოღვაწეობისა მხოლოდ მაშინ არ იქნება სათაკილო, როცა ერთი უმაღლესი აზრით განიმსჭვალება ყველა. ეს მაშინ მიიღწევა, როცა ლიტერატურას თავის გამოჩინების საშუალებად კი არ მიიჩნევენ, არამედ შინაგანი თვითგამოხატვისა და ერის მსახურების აუცილებელ აქტად. რაც უფრო მძიმეა კრიტიკოსის ტვირთი, მით უფრო მეტია სხვებისადმი თანაგრძნობა და პატივისცემა. სწორედ ოთარ ჭილაძისაგან ვიგრძენი ამ თხუთმეტიოდე წლის წინათ თანაგრძნობიერი დამოკიდებულება, როცა რამდენიმე წერილი უკვე გამოქვეყნებული მქონდა ტერენტი გრანელის პოეზიაზე და მისი შემოქმედების სრული კრებულიც გამოსაცემად მქონდა მომზადებული. ასეთი დამოკიდებულება იმედითა და რწმენით მავსებდა. დღეს კი, მასთან გატარებული ყოველი წუთი და საუბარი ლიტერატურასა თუ ჩვენს ცხოვრებაზე პირადად ჩემთვის მაგალითია იმისა, თუ როგორი შინაგანი ტკივილით უნდა განიცდიდე ყოველივე იმ წვრილმანს, რაც მშობლიური მწერლობის ავტორიტეტს განსაზღვრავს. მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ კრიტიკაც მაშინ დაიმსახურებს მწერლობის ნდობას, როცა იგი სიყვარულითა და თანაგრძნობით განიმსჭვალება მშობლიური მწერლობისადმი, როცა პოლემიკურ წერილშიც სიყვარული და თანაგრძნობა გამოვლინდება და არა სიხარული „სხვისა ბოროტსა ზედა". ხშირად გვავიწყდება, რომ მხატვრულ ნაღვაწს უკან, რასაც ასე დაუდევრად ვეპყრობით ხოლმე, დგას პიროვნება, შენივე თანამოძმე, იმავე ტკივილებითა თუ სიხარულით, იმავე ცოდვებითა თუ სიკეთით ავსილი, რასაც შენც ფლობ მეტად თუ ნაკლებად, ცნობიერად თუ არაცნობიერად. მწერლის მარცხი შენს მარცხადაც უნდა მიითვალო, რადგანაც შენც მწერალი ხარ და არ ხარ დაზღვეული მარცხისაგან; ვფიქრობ მეტი ზომიერებაა საჭირო; ვიცით კი, ერთი კაცისაგან მეორე კაცის განქიქება და უარყოფა რა შედეგს მოუტანს ქვეყანას?!. დღეს კი ისეთი ტენდენცია შეინიშნება, თითქოს განმქიქებელ და უარმყოფელ კრიტიკას მეტი პატივისცემით და ყურადღებით ვეკიდებოდეთ; „სხვისა ბოროტსა ზედა" სიხარულმა ხომ არ გადასძლია?!..

ვერ გავექცევით იმ ზოგად თვალსაზრისს, რომ როგორიც არის საერთოდ მწერლობა, ისეთივეა კრიტიკაც. მაგრამ ვერც იმ აზრს გავექცევით, დღევანდელი კრიტიკა რომ ჩამორჩება მწერლობის დონეს. ჩემი რწმენით, თანამედროვე ქართული მწერლობა იძლევა საფუძველს უფრო მაღალი დონის კრიტიკული აზროვნებისათვის. ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როცა ყველანი ერთად მეტ გულისყურსა და პატივისცემას გამოვიჩენთ კრიტიკისადმი; როცა კრიტიკას მწერლობის დანამატად კი არ მივიჩნევთ, არამედ მის კანონიერ და ღირსეულ მემკვიდრედ.

გიორგი გაჩეჩილაძე:

1. კრიტიკოსი მწერლობისა და თავისი სპეციალობის ისეთივე მოჭირნახულეა, როგორც ლიტერატურის შემქმნელი მწერლობა და მისი დამფასებელი საზოგადოება. რაც შეეხება თვალსაზრისს მისი ვიწრო სპეციალიზაციისა და დონის შესახებ, — მე პრინციპულად არ ვიზიარებ კრიტიკის იზოლაციის იდეას მთლიანი ლიტერატურული პროცესის დონისა და ამოცანებისაგან.

თუ კრიტიკა ლიტერატურული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად გვაქვს წარმოდგენილი, მაშინ კითხვა — რამდენად „დამაკმაყოფილებელია დღევანდელი ლიტერატურული კრიტიკის დონე" — თავისთავად ითვალისწინებს პასუხს მთლიანი ლიტერატურული დონის თაობაზე.

კრიტიკული მუხტის ფლობისა და გამოხატვის სიმძაფრეში მწერლობას ვერაფერი შეედრება. ყველაზე დიდ კრიტიკოსად ყველაზე დიდი მწერალი მიმაჩნია. ჩვენი საუკუნის 10-იანი და 20-იანი წლების ქართულ პოეზიას არ ჰყოლია გალაკტიონზე უფრო დიდი და ქმედითი კრიტიკოსი. ვაი იმ მკითხველებს და მითუმეტეს კრიტიკოსებს, რომლებიც მის პოეტურ სიახლეებში მხოლოდ ლექსიკურ ცვლილებებს ხედავდნენ და არ გაუცნობიერებიათ გალაკტიონის მიერ მთელი ეპოქის მხატვრულ აზროვნებაში განხორციელებული ცვლილებების ფაქტი. საბედნიეროდ ასეთი კრიტიკული მუხტის მატარებელი მწერლები დღესაც მოგვეპოვებიან.

ამიტომაა, რომ კრიტიკას მწერლობასთან მარტო მხატვრული ნაწარმოები კი არა, — აზროვნებისა და ლიტერატურული პოზიციის თავად კრიტიკული საწყისი აკავშირებს. ცოცხალი ლიტერატურული პროცესი ხომ კრიტიკულ თვალსაზრისთა, სტილთა, პოზიციათა, ზნეობრივ და ღირებულებრივ ორიენტაციათა ულმობელი შეჯახებებით დანაღმული ველია. კრიტიკოსი არ არის ამ პროცესის გულგრილი მაყურებელი. ისიც მწერალთან ერთად ამ შეჯახებათა ეპიცენტრში მდგარი შემოქმედია თავისი ჟანრით, პოზიციით და კულტუროლოგიური მიზნით.

ეტყობა, კრიტიკის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი სწორედ ამის შემდეგ იწყება. ასეა იმიტომ, რომ გარკვეული ფასეულობების, ზნეობრივი პოზიციის, გემოვნებასა და მოთხოვნებისადმი კრიტიკას არა ნაკლებ მძაფრი კრიტიკული ან აპოლოგეტური დამოკიდებულების შესაძლებლობები მოეპოვება, ვიდრე მწერლობას.

თუ რეალისტურად შევხედავთ ლიტერატურულ პროცესს, მასში ადვილად გამოვარჩევთ ამა თუ იმ კრიტერიუმის განსხვავებულ დონეზე გამსახიერებელ მწერლებს. ასეა კრიტიკაშიც. ამიტომ, თუ კრიტიკა გარკვეული მხატვრული პრინციპების გამოხატვის ხარისხის მიხედვით ხედავს ლიტერატურულ პროცესში მწერალთა თავისებურ სუბორდინაციას, — ეს პრინციპი ბუნებრივად ვრცელდება სუბორდინაციაზე თვით კრიტიკოსთა შორისაც.

არ არის საჭირო საგანგებო სოციოლოგიური შტუდირება ქართველ კრიტიკოსთა ნააზრევებში, რომ მათ შორის აღმოვაჩინოთ ესთეტიკური კრიტერიუმების, გემოვნების, კულტუროლოგიური ინტერესების სრულიად განსხვავებული ინტერესები. ეს ინტერესები სრულ შესაბამისობაშია ჩვენივე მწერლობის ანალოგიურ მოთხოვნებთან.

მაგრამ აქ ერთი მომენტია გასათვალისწინებელი. არც ისე ენერგიულად, მაგრამ მაინც, ისევ იჩინა თავი კრიტიკის ვიწროდ ფუნქციონირების მოთხოვნებმა.

პირადად მე, კრიტიკის არც ამ ფუნქციას მივიჩნევდი მოკრძალებულ და მეორეხარისხოვან საქმედ, რომ ასეთ ტენდენციაში თავი არ ეჩინა გარკვეული ზნეობრივი და ესთეტიკური მოთხოვნების დაქვეითების ნიშნებს.

ჰეგელის ერთი ცნობილი დევიზის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, შეიძლება იმის თქმა, რომ „ყოველი მწერლობა იმ კრიტიკის ღირსია, როგორისაც თავად იმსახურებს".

ამ მხრივ, ეტყობა, ჩვენში ყველაფერი რიგზეა და არაფერია საგანგაშო... ცხადია, ასეთი ვითარება განსაკუთრებულად სანუგეშოს ვერაფერს ეუბნება მკითხველს, მაგრამ ეს უკვე სხვა საკითხია.

კრიტიკის ბოლო წლების „მთავარ მიღწევად", ისევე როგორც მწერლობაში, მიმაჩნია პროფესიული დონის მიღწევათა არა ფორმალური, არამედ რეალური გრძნობის გაჩენა. ამ ტენდენციის ხელშემშლელ ფაქტორად კი „ჟურნალიზმისა" და „ფელეტონიზმისაკენ" ის მიდრეკილება, რომელიც ერთნაირად ზღუდავს როგორც მხატვრულ შემოქმედებას, ისე კრიტიკულ აზროვნებას.

არ ვიცი რა ეშველება ძალზე დაბალი დონის „მიმოხილვებს" ყოველი წლის ლიტერატურული პროდუქციის სფეროში...

თანამედროვე ჰუმანიტარულ აზროვნებაში მიმდინარეობს უდიდესი გარდატეხების პროცესი. ეს ეხება კრიტიკისათვის სასიცოცხლოდ საჭირო ჰუმანიტარულ დისციპლინათა ულმობელი დანაწევრებისა და გამთლიანების ერთდროულ მოვლენას. ეს არის გარკვეულ ძიებათა და მიღწევათა შეჯამებისა და უკვე ნათლად გამოკვეთილი, მაგრამ ჯერ კიდევ შეუცნობი პრობლემების დაბადების ერა... ქართულ პროზასა და პოეზიაში მე ვხედავ ამ ძვრებისადმი გაფაციცებული ყურადღების შედეგებს. ამის დადასტურებაა თავისებური სინთეტიზმისაკენ სწრაფვა ჩვენს პროზასა და პოეზიაში.

ოდნავი დაგვიანებით ამ პროცესის ლოგიკურ გამოძახილს უნდა ველოდეთ ქართულ კრიტიკაშიც...

2. კითხვა იმის შესახებ, თუ რატომ გაურბიან კრიტიკოსები აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას, ჩემი აზრით, გარკვეულ კორექტივს საჭიროებს. თუ ეს კითხვა თანაბრად ნაწილდება მწერლობაზეც, მაშინ ის ჩემთვის გასაგებია... თუ ეს მხოლოდ კრიტიკის მიმართ ვრცელდება, ნაწილობრივ, გაუგებარია... ყოველ შემთხვევაში, ეს კითხვა თავისი სიღრმისეული მნიშვნელობით შორდება წმინდა ლიტერატურულ ფარგლებს და მეტ სოციოლოგიურ, უფრო ზუსტად, სოციალური ფსიქოლოგიის კომპეტენციის სფეროდან გაშუქებას საჭიროებს.

3. დღევანდელი ქართული პროზა და პოეზია აშკარად შეიცავს ღრმა და სერიოზული კრიტიკული აზროვნების მასტიმულირებელ საწყისებს. რად ღირს თუნდაც მისი „მრავალხმიანობა" არა მხოლოდ ლიტერატურული პროცესის მასშტაბებში, არამედ ცალკეულ მწერალთა შემოქმედებაშიც. იგივე უნდა ითქვას მთელი ლიტერატურული პროცესის განმაზოგადებელ და თავისებურ სინთეტირებაზე მეტყველ იმ ცალკეულ ნიმუშებზე, რომლებიც უკანასკნელი დროის ქართულ პოეზიასა და პროზაში შეიქმნა.

4. „შემოქმედებითი და ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტის" თვალსაზრისით შეიძლება ითქვას შემდეგი: კრიტიკა არა თუ დავალებული, არამედ დამოკიდებულიცაა ლიტერატურული პოლიტიკის წარმმართველ ორგანოებზე. (ჟურნალები, გაზეთები, ალმანახები). ამ ორგანოების მხრივ საჭიროა მეტი პრინციპულობის გამოჩენა იმ მიუტევებელი პრაქტიციზმისადმი, რომელიც, ზოგჯერ, ზნეობრივი კრიზისის დემონსტრირებად აღიქმება.

იმავე ორგანოების მხრივ საჭიროა ფხიზლად თვალისდევნება ისეთი კრიტიკული მასალისადმი, რომელშიც ლიტერატურული პოზიციისა და სტილისადმი შეუგუებლობა გათანაბრებულია ამ სტილის მატარებელი ავტორის, როგორც პიროვნების ხელყოფასთან.

კობა იმედაშვილი:

ასეთი წესი დამკვიდრდა ჩვენში, დროდადრო, ლამის კანონზომიერი პერიოდულობით, ვიწყებთ საუბარს, თუ როგორი უნდა იყოს კრიტიკა, ვაყალიბებთ თეორიებს, ვუყენებთ ერთმანეთს მოთხოვნებს. სულ ახლახან „ვოპროსი ლიტერატურიმ" მოაწყო ვრცელი ანკეტა, სადაც მწერლებს კიდევ ერთხელ მიეცათ საშუალება წამოეკრათ ხელი კრიტიკისათვის (თუმცა, ისიც უნდა ითქვას, ყველამ არ გამოიყენა ეს შესაძლებლობა). განა ყოველივე ამას არა სჯობია მავანმა და მავანმა — პროზაიკოსმა, პოეტმა, დრამატურგმა — წელიწადში თითო კარგი კრიტიკული წერილი დაწეროს (ჭეშმარიტი მწერლები არასოდეს არ გაურბოდნენ საკუთარი აზრის გამოთქმის კრიტიკულ ფორმას!), თუნდაც გააკრიტიკოს კონკრეტული კრიტიკოსის ნახელავი და ასე დაეხმაროს, თუკი დახმარება სჭირდება კრიტიკას?

მაგრამ ძნელია ყოველივე ეს.

ძნელია კარგი კრიტიკული წერილის დაწერა, ისევე, როგორც ძნელია კარგი ლექსისა თუ მოთხრობის დაწერა.

ბევრად ადვილია ჭკუის სწავლება და ბუზღუნი.

მე არასოდეს არ მომწონებია კრიტიკოსის მიერ გამოწერილი ზოგადი რეცეპტები შესახებ იმისა, თუ როგორ უნდა იწერებოდეს მოთხრობა თუ რომანი, ლექსი თუ პოემა; ასევე არ მომწონს, როდესაც კრიტიკოსებს ასწავლიან, როგორ უნდა იწერებოდეს კრიტიკული წერილი და, საერთოდ, როგორი უნდა იყოს კრიტიკა.

ვინც ამდენი იცის, წერს კიდეც — ერთსაც, მეორესაც, მესამესაც...

ჩვენი კრიტიკა როგორც იქნა მოიშვა ბუზღუნა მენტორის როლს მწერლებთან საუბარში, — სამწუხარო იქნება თუ ამ როლის ნილაბს კრიტიკაზე განაწყენებული პროზაიკოსები, პოეტები და დრამატურგები მოირგებენ.

მაკმაყოფილებს თუ არა დღევანდელი კრიტიკის დონე?

არა, არ მაკმაყოფილებს, ისევე როგორც არ მაკმაყოფილებს საერთოდ დღევანდელი ქართული ლიტერატურის დონე.

მინდა იგი იყოს უფრო ღრმა, უფრო მწვავე, უფრო ეროვნული ტკივილებით დაღდასმული. არა ერთი და ორი ნაწარმოები, არამედ მთლიანად ჩვენი მწერლობა იდგეს მსოფლიო ლიტერატურის დონეზე.

მაგრამ დიდი მიღწევებიც აქვს ჩვენს მწერლობას, დიდზე დიდი — ამ მიღწევათაგან კი ჩვენი კრიტიკა არასოდეს განზე არა მდგარა.

ბოლო ოცწლეულში კრიტიკა აქტიურად იბრძოდა მწერლობაში „სამოციანელების" დამკვიდრებისათვის. განმარტავდა, პოპულარიზაციას უწევდა და იცავდა მათ პოზიციებს.

კრიტიკამ გააანალიზა და თავისი მიაგო „ლირიკულ პოემას".

კრიტიკამ დროზე შენიშნა, სწორად შეაფასა და მხარი დაუჭირა მითოლოგირების პროცესს ჩვენს ლიტერატურაში.

კრიტიკამ თავისი ადგილი მიუჩინა „თავისუფალ ლექსს".

კრიტიკამ დაიწყო საუბარი სამოცდაათიანი წლების ქართული მწერლობის სიახლეთა შესახებ.

ყოველივე ამას იქნებ ხშირად აკლდა მასშტაბურობა, სიღრმე, არგუმენტირება...

ყოველივე ამას ხშირად აკლდა პრინციპულობა...

ყოველივე ამასთან ერთად არ ითქვა ბევრი რამ, აუცილებლად სათქმელი...

და... ყოველივე ამას ყოველთვის თან სდევდა პრინციპული დუმილიც ამა თუ იმ ნაწარმოების თუ ავტორის მიმართ.

დუმილი მთლიანად კრიტიკოსის კომპეტენციაში შედის, მას არც დაბეჭდვა უნდა, არც ვინმეს ვიზირება... ამიტომაც იქცა იგი პოზიციის გამოხატვის საშუალებად.

მაგრამ არსებობს იძულებითი დუმილიც — როცა წერილი დაწერილი გაქვს და არ გიბეჭდავენ, როცა თქმა გინდა და არ გათქმევინებენ.

ჩვენ ყველამ ვიცით: დონე კრიტიკისა მარტო მათზე კი არაა დამოკიდებული, ვინც წერს ამ კრიტიკას, არამედ მათზეც, ვინც ბეჭდავს.

არა ვარ კმაყოფილი კრიტიკის დონით, მაგრამ მეეჭვება, ამ სიტუაციაში თუ შეიძლება რაიმეს შეცვლა.

დღეს მთელი სისრულით გამოიკვეთა ავტორთა ჯგუფი, რომლის მიმართაც კრიტიკული შენიშვნების გამოთქმა ჭირს... დაბეჭდვა ხომ — მით უფრო.

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი — კრიტიკოსისთვის უსიამოვნების წყაროდ იქცა არა მხოლოდ უარყოფითი სტატია ვინმეზე, არამედ დადებითიც. რამეთუ პირველ შემთხვევაში განაწყენებული ერთია, მეორე შემთხვევაში — რამდენიმე!

ჩვენს ლიტერატურულ საზოგადოებაში დამოკიდებულება კრიტიკის მიმართ ვერაა ისეთი, როგორიც უნდა იყოს. უმთავრესი კი ისაა, რომ ჩვენს ურთიერთობებს აკლია გულწრფელობა და მომთმენლობა.

არის მეორეხარისხოვანი სამწუხარო ფაქტებიც:

მაგალითად, გამომცემლობებსაც დაუწესეს კრიტიკოსის წიგნის მოცულობა: არაუმეტეს თხუთმეტი საავტორო თაბახი.

თითქოს მოცულობა განსაზღვრავდეს ნაწერის ხარისხს!

რუსთაველისა და სახელმწიფო პრემიების მიმნიჭებელ კომისიას კი იშვიათად თუ ჰქონია მსჯელობა კრიტიკოსის წიგნზე.

შეიძლება გამომწვევად ჩანს ყოველივე ჩემ მიერ თქმული, მაგრამ რაც ზემოთ ითქვა, გამოძახილია და მაჩვენებელიც ზოგიერთთა სნობური შეხედულებისა კრიტიკაზე, როგორც მწერალთა ოჯახის ღარიბ ნათესავზე.

სხვისი არ ვიცი და ჩემთვის ბევრ კრიტიკულ წერილს მოუნიჭებია ჭეშმარიტი სიხარული, მოუცია საზრდო გონებისთვის და სითბო გულისთვის; დამერწმუნეთ, კარგი კრიტიკული წერილი არანაკლებ სასიამოვნო საკითხავია, ვიდრე კარგი ლექსი თუ მოთხრობა. ოღონდ პირველი მეორეს თუ მესამეს, რა თქმა უნდა, არ ცვლის. ბოლო ოცწლეულის ქართულმა კრიტიკამ იცის ასეთი წერილები.

მე არ ვეკუთვნი იმ ხალხს, ვინც მუდამ აღფრთოვანებულია თავისი ნახელავით, მაგრამ ვერც იმათ რიგში ჩავდგები, ვინც თვითგვემას ეწევა.

გადაავლეთ თვალი ოციოცდაათიანი თუ ორმოცი-ორმოცდაათიანი წლების მწერლობას, დამოკიდებულებასა და თანაფარდობას კრიტიკასა და პროზასა თუ პოეზიას შორის და დამეთანხმებით, რომ პრინციპული ხასიათის ცვლილებანია ჩვენს კრიტიკაში მომხდარი, მათი დაუნახაობა არ შეიძლება.

ჩვენი დღევანდელი კრიტიკის ძირითადი ნაკლი სწორედ ისაა, რომ კრიტიკოსები „გაურბიან აქტიურ ლიტერატურულ ცხოვრებას" (თუმცა ყველა არა!).

კრიტიკოსი დამოუკიდებელი უნდა იყოს. მას ისედაც დიდი საზოგადოებრივი პასუხისმგებლობა აწევს და აღარაა საჭირო ამას დაემატოს პასუხისმგებლობა სხვადასხვაგვარი ხასიათისა.

კრიტიკა (შესაბამისად — რედაქციები, გამომცემლობები...) უნდა გათავისუფლდეს ყალბი რიდისაგან. საჭიროა მეტი სითამამე, არა მხოლოდ პრინციპული დუმილი, არამედ პრინციპული და ხმამაღალი ბრძოლა.

აქ კი საჭიროა კრიტიკოსს ყოველთვის ჰქონდეს ასპარეზი, ტრიბუნა, შეეძლოს თავისი აზრის გამოთქმა, თავისი საქმიანობის შეუფერხებლად წარმართვა.

ჩვენ ცოტა გვყავს პროფესიონალი კრიტიკოსი. საჭიროა მათ მომზადებასა და გაწაფვაზე იზრუნოს ვინმემ. საჭიროა მოვძებნოთ და გამოვზარდოთ ახალგაზრდობა. საჭიროა „კრიტიკა" უფრო მობილური და მწვავე გახდეს.

საჭიროა საქართველოს მწერალთა კავშირის სამდივნომ თვით გაამწვავოს კრიტიკა, თვით მიიღოს მონაწილეობა კრიტიკის გააქტიურებაში, თვით შეეწინააღმდეგოს პანეგირიკის მოძალებასა და თვით მოსთხოვოს პირუთვნელი შეფასებანი კრიტიკას. კრიტიკის პრინციპულობას მხოლოდ მაშინ აქვს ფასი, როდესაც ყველას მიმართ პრინციპულობა იგულისხმება. ამის მიღწევა არის დღევანდელი ქართული კრიტიკის უპირველესი ამოცანა. მარტოოდენ კრიტიკა სხვათა და სხვათა დახმარების გარეშე ამას ვერ შეძლებს.

ჩვენი „დღევანდელი ქართული პოეზია, პროზა და დრამატურგია" დიახაც იძლევა უაღრესად პრინციპული და „ღრმა ლიტერატურული აზროვნების საფუძველს".

აქ კი კრიტიკისა თუ ლიტერატურათმცოდნეობის ყველა ჟანრის გამოყენებაა საჭირო — მიმოხილვით დაწყებული და ესეით დამთავრებული (ჟანრი, მოგეხსენებათ, ყველა კარგია, გარდა მოსაწყენისა).

თუმცა, ისიც უნდა ითქვას — კრიტიკოსი იყოს და სათქმელი ჰქონდეს, თორემ „ღრმა ლიტერატურული აზროვნების საფუძვლად" მისთვის შეიძლება მწერლობის ბანალური ფაქტიც კი იქცეს. გაიხსენეთ თუნდაც ილია და მისი „რამოდენიმე სიტყვა თავად რევაზ შალვას ძის ერისთავის კოზლოვიდგან „შეშლილის" თარგმანზედა".

დაბოლოს, ისევ ზემოთქმულს უნდა დავუბრუნდე: სიტყვას მაინც საქმე სჯობია. გაკეთებული საქმე. თავის დროზე კარგი დადგენილება იქნა მიღებული კრიტიკის შესახებ — ყოველი მისი სიტყვა რომ შესრულდეს, მისი პათოსით რომ მუდამ ხელმძღვანელობდნენ რედაქციები და გამომცემლობები, ყოველი ჩვენგანი, ყველა ის, ვისაც ეს თანამდებობრივად ეხება, მაშინ ალბათ ასე ხშირად არც დაისმებოდა ბანალური კითხვა — რა სჭირს ჩვენს კრიტიკას?

სჭირს იგივე, რაც მწერლობას. მეტი არაფერი.

სოსო სიგუა:

1. ქართული კრიტიკა, 20-იანი წლების გარდა, არასოდეს ყოფილა ესოდენ ძლიერი. ამას მეტყველებს თუნდაც ის ფაქტი, რომ დღეს ლიტერატურათმცოდნეობას ტონს აძლევენ და მის სახეს განსაზღვრავენ სწორედ კრიტიკოსები. ანტაგონიზმი მწერალსა და კრიტიკოსს შორის მუდამ იარსებებს, რადგან ძნელია ქიმერების რეალობად გამოცხადება!

2. რატომღაც „კრიტიკის" ცნებას იგებენ პირდაპირი მნი-

შვენლობით და აიგივებენ გაკრიტიკებასთან, უარყოფასთან, დაწუნებასთან. ეს გახლავთ მცდარი, ემპირიული წარმოდგენა, რადგან საერთოდ კრიტიკა არის აზროვნება თანამედროვე მასალაზე — დღევანდელი ვითარებისა და სიტუაციის შესაბამისი. მისთვის მთავარია ძირეული ტენდენციების შემჩნევა, პერსპექტივის პოვნა, დადებითის მიგნება. ამიტომ არ შეიძლება სპეციფიკად ვაქციოთ მხილება, დაგმობა, უკუგდება. დღესაც, როცა თავდასხმაზე ერთსულოვნად გამოდიან მწერლები, მას ძალუძს შეინარჩუნოს არსებითი ნიშან-თვისება— გზა გაუხსნას სასიცოცხლო ტენდენციებს, რომელთაც მოაქვთ სარგებლობა ერისა და ლიტერატურისათვის, ხოლო მოძალებულ უნიჭობასა და ერთფეროვნებას ებრძოლოს ირიბად — მასზე არც ცუდი დაცდეს და არც კარგი, არ იქცეს მის პროპაგანდისტად და ხელისშემწყობად: სხვათაშორის, ლანძღვა დღეს რეკლამის ერთ-ერთ ფორმად იქცა. მე მესმის, ასეთი პროტესტი მიუღებლად მოეჩვენებათ. მაგრამ უნდა გვახსოვდეს, რომ სხვაგვარ ბრძოლას აზრი არა აქვს, რადგან შენი არავის სჯერა, გაკრიტიკებულს კვლავაც ტაშს დაუკრავენ, უფრო მეტადაც, შენ კი მიმოიხედავ და შეამჩნევ, რომ თურმე გვერდით არავინ გიდგას! ამიტომ ვფიქრობ — იდეალურ თუ უტოპიურ მოთხოვნას უნდა ვერიდოთ და სიტუაციის შესაბამისად მოვიქცეთ. აი, სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მიზეზი, რომ კრიტიკოსი სტოვებს არენას მაშინ, როცა მართალ სამართალს ველით მისგან.

3. თანამედროვე ლიტერატურა რომც არ იძლეოდეს ნამდვილი აზროვნების საშუალებას, ლიტერატორს ძალუძს შექმნას ილუზია, შეთხზას მითი, მოამზადოს ასპარეზი ახალ ტალანტთა მოსავლენად. სუსტ ფონზე კიდევ უფრო აშკარად გამოჩნდება ძლიერი კრიტიკოსის ფიგურა. მაგრამ ამჟამად, საბედნიეროდ, სხვაგვარი სიტუაციაა. ჩვენ გვყავს არაერთი მაღალნიჭიერი პოეტი და პროზაიკოსი, თუმცა თანამედროვე მწერლობა ვერ შეედრება 20-30-იანი წლების ლიტერატურას. მწერლებს გული ნუ დასწყდებათ. მსგავსი დაქვეითება საგრძნობია კულტურის ყველა სფეროში. აქ ცალკეული ხელოვანი ვერას გააწყობს. ჩანს, დაძაბული და ნერვიული ეპოქა, იდეებისა და ვნებების მძლავრი მიმოქცევა მაქსიმალურად ააშკარავებდა ხელოვანის ტალანტს. ახლა არც საბჭოთა კავშირის, არც ევროპის რადიუსით, როგორც ეტყობა, ადრეული ფანატიზმითა და აღმავლობით არ ითხზვება ლექსი, რომანი, მოთხრობა. რაც შეეხება დრამატურგიას — მე მგონია, იგი არის არა ლიტერატურის დარგი, არამედ თეატრალური ხელოვნების ნაწილი. მან მეტამორფოზა განიცადა და სრულიად ახალი ელფერი შეიძინა. ამიტომაა, რომ პიესა აღარ გვიზიდავს, მაგრამ სპექტაკლს ინტერესით ვუყურებთ.

4. უნდა შეიქმნას ლიტერატურული აზროვნების ქართული მოდელი. ეს არის არა მხოლოდ საპატიო ამოცანა, არამედ — აუცილებელიც. იყო ძლიერი ცდა ქართული ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ლინგვისტიკის დაფუძნებისა. მაგრამ მსგავსი ტენდენცია ლიტერატურათმცოდნეობაში არ გამოვლენილა. ეტყობა, ისე ძლიერი იყო ნ. მარის ისტორიულ-ფილოლოგიური სკოლის ინერცია, რომ ეს პრობლემა არც წამოჭრილა: ჩვენი ლიტერატორების ორიგინალობა განისაზღვრება იმ მასალით, რომელზეც წერენ, ე. ი. ქართული პროზითა და პოეზიით, და არა თავად სუბიექტის დამოუკიდებელი კონცეფციით, მეთოდით, სისტემით. მარტოოდენ სტილის ოსტატობა საკმარისია ესეისათვის, მაგრამ მარად რღვევადი და ცვალებადი ლიტერატურის შესაცნობად ცოტას ნიშნავს. ამიტომ მიმაჩნია, უნდა შეიქმნას ნაციონალური მოდელი ლიტერატურათმცოდნეობისა, როგორც ეს ხდება ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში, რაც მოასწავებს ესთეტიკის, პოეტიკის, ლიტერატურის ისტორიის პრობლემების ახლებურ მოდელირებას. ლიტერატურის სტრუქტურის შესწავლაც კი არაა საკმარისი, თუ მას არ დაერთო ლიტერატურის ფილოსოფია. ცხადია, დეკლარაციული განცხადება იოლია, მაგრამ სწრაფვის განუხრელი ორიენტირი ასეთი უნდა იყოს. ამ გზაზე ბევრ შეცდომასაც დავუშვებთ, მაგრამ ამან გული არ უნდა გაგვიტეხოს (საერთოდ ჩვენს ფანტაზიას დიდად ბოჭავს ორი კომპლექსი — შიშისა და პროვინციალობისა). მხოლოდ ამის შემდეგ იქცევა კრიტიკოსი მწერლობისათვის სასურველ და საგულისხმო პიროვნებად, როგორც შემოქმედებითი ძიების პარალელური გამომხატველი.

გიორგი ხუხაშვილი:

დიდი სიყვარულის გარეშე მნიშვნელოვანი არაფერი შექმნილა ქვეყნად. მწერლობა ჩემთვის უწმინდესი სიყვარული და თავგანწირული შრომაა ადამიანების საკეთილდღეოდ. კრიტიკაც მწერლობაა, ლიტერატურას იგი არასოდეს მიუჩნევია გერ ძმად. არც მარტო მსახურება დაუკისრებიათ მისთვის პოეზიის, პროზისა თუ დრამატურგიის მშვენიერ მუზებს. ტალანტის ბუნებაში შერწყმული ვნება და ინტელექტი კრიტიკასაც ისევე სჭირდება, როგორც პროზასა და პოეზიას. ამდენად, როგორიც საერთოდ ლიტერატურაა, კრიტიკაც და მისი დონეც ისეთივეა. კრიტიკაც ამიტომ ისევე მაკმაყოფილებს, მიყვარს და მჯერა მისი, როგორც მთლიანად ჩვენი თანამედროვე მწერლობა. უკეთესის სურვილს რა დალევს. არც მჯობნის მჯობნი დაილევა. მაგრამ არასოდეს მჯერა იმათი, ვინც დაჩემებით გაიძახის — კრიტიკა არ გვივარგაო. იქნებ სხვას სხვანაირად ესმოდეს, მე პირადად ლიტერატურული კრიტიკა მწერლის მწერალთან დიალოგად წარმომიდგენია. რა თქმა უნდა, ამ დიალოგში წარმმართველი ძალა, ენერგიის სათავე მწერლობის მაღალი დანიშნულების რწმენა და ჰარმონიული სულიერი სრულყოფისკენ მარადიული ლტოლვაა. კრიტიკაც ისევე ავლენს ამ თვისებებს, როგორც პროზა ან პოეზია. იგი არასოდეს ყოფილა „ლიტერატურის ბუღალტერია“ და ცივი განსჯის საგანი. მის დონესაც ყოველთვის ღრმად ნიჭიერი, გემოვნებიანი და განათლებული ადამიანები განსაზღვრავდნენ. და თუ კრიტიკა მრავალ მოვლენას, სოციალურსა თუ ესთეტიკურ ფენომენს ანზოგადებს, აანალიზებს და სიღრმეებს წვდება, მარტო ამის გამო ნურავინ მიიჩნევს ლიტერატურის მეწინავე, მოყიყინე მხედრად. ეს მისი ბედია და თანდაყოლილი თვისება, თუ გნებავთ სტილიც, რომელიც იმდენივეა, რამდენი მწერალიც გაჩენილა ქვეყნად. რაც შეეხება ბოლო წლებს, იგი კრიტიკაშიც ისევე აღინიშნა დროის შკალაზე მოძრავმა ისარმა, როგორც გლობალურ ლიტერატურულ ცხოვრებაში. რაც ჩვენში მნიშვნელოვანი შექმნილა, კრიტიკასაც თავისი სიტყვა უთქვამს შესაბამისად. თუ რამ შეუმჩნეველი ან ღრმად ჩაუხედავი დარჩა, არც ეს არის გამორიცხული, მაგრამ შეუფასებლობის, კრიტიკისაგან უყურადღებობის კომპლექსი ხშირად იმას ტანჯავს ხოლმე, ვისაც საკუთარი ლიტერატურული ღირსება აეჭვებს, კრიტიკის მოვალეობად კი ქება ან ძაგება მიაჩნია. მუდამ უნდა გვახსოვდეს, რომ გალაკტიონის თანამედროვენი ვართ, სხვა რომ არა იყოს რა, და სულიერი კულტურის მაღალი კრიტერიუმები გვიპყრია ხელთ. ამ სიმაღლიდან იყურება დღეს ჩვენი კრიტიკის ფხიზელი თვალი. ეს არის მისი დღევანდელი ღირსება. ოღონდ კიდევ, ერთი შეგონებისა არ იყოს, მწვერვალზე იმიტომ კი არ უნდა ახვიდე, ამაყად თქვა—რა მაღალი ვარო, არამედ იმიტომ, რომ უფრო ბევრი დაინახო და უფრო უკეთ.

ლიტერატურული ცხოვრება თავისთავად ნიშნავს პიროვნების აქტივობას. თუ კრიტიკოსები მას გაურბიან, საკითხავია, სადღა გარბიან? კრიტიკის კონფლიქტური არსი მის მშვენიერ ბრძოლათა ბუნებას ავლენს. ვინც ამას განერიდება, საკუთარ თავს უარყოფს. ჩვენს დროში, თუ ძალიან შორ წარსულში არ გადავიხედავთ, არც ერთ სერიოზულ შემოქმედს არ უცხოვრია კრიტიკის მიღმა. ტალანტს ქომაგი, თანამოაზრე მეგობარი მუდამ სჭირდება. თუ მისთვის თავგამოდებას გაურბიხარ, უთანასწორო ბრძოლაში ტოვებ. ღალატი კი ყოველთვის, ყოველგვარ სიტუაციაში სულმდაბლობაა. ერთი კრიტიკოსი სამართლიანად ამბობდა: მარტო იმას კი არ მისაყვედურებენ ხოლმე, მე რატომ არ მაქებო, წყენით ამბობენ — იმას რატომ აქებო. კრიტიკოსის რთული ცხოვრება მისი შეგნებული არჩევანია. თუ ვინმე უფრო საიმედო „თავშესაფარს“ ეძებს, არც იქ იქნება დიდად სანაქებო, რადგან იოლი ცხოვრება ტალანტისთვის არსად არსებობს. ან არის კი სადმე ასე იდილიური „ბროლის კოშკები“? ვერც იმას ვირწმუნებ, ვინმეს შეეძლოს მარტოობაში ცხოვრება, უმეგობროდ ყოფნა, ან მასზე დაწერილი არ აინტერესებდეს. თქმით იქნებ თქვან, მაგრამ თანამოაზრესა და გამგებს ვინ არ ეძებს ლიტერატურულ ცხოვრებაში? ამიტომ ვის უნდა გავექცეთ, სად გავექცეთ? და თუ ერთნი მართლაც ტოვებენ ასპარეზს, მეორენი მოდიან. ეს პროცესი დიალექტიკურია. თუმცა სად უნდა წახვიდე, სად წაუხვალ საკუთარ თავს, თუ მწერლად გაჩენილხარ?

არც ერთი დრო და ეპოქა არ შეფასებულა უსახური და უმწეო ნაწარმოებების მიხედვით. თანამედროვეობის სახეს მისი საუკეთესო ქმნილებები გამოხატავენ. ჩვენს დროში კი, მადლობა ღმერთს, ბევრი რამ შეიქნა საგულისხმო და მნიშვნელოვანი. პოეზიაც, პროზაც, ათვალისწუნებული დრამატურგიაც კი ამდენად იძლევა „ღრმა ლიტერატურული აზროვნების საფუძველს“. მარტო აზროვნების კი არა, ღრმა სიყვარულის საფუძველსაც. ბელინსკი არ იქნებოდა პუშკინის გარეშე. შეუძლებელია სერიოზული კრიტიკა არ იყოს იქ, სადაც გვაქვს მშვენიერი პროზა და პოეზია. იქნებ ბევრად მეტი იყოს მდარე ხარისხის ნაწარმოებები ყველა ჟანრში. ეს ასე იყო მუდამ და არც ჩვენი დროა გამონაკლისი. არის ზეაღმავლობისა და დაშვების პერიოდებიც, არც ის არის ბანალური ჭეშმარიტება, რომ სიმაღლეები შორიდან უკეთ ჩანან. ჩვენი დროის ნამდვილ ღირებულებებსაც მომავალი უკეთ შეაფასებს. ოღონდ იმ მომავლისკენ უნდა ვილტვოდეთ იმის ღრმა რწმენით, რომ მომდევნო თაობები არ იქნებიან თავგამოდებული სკეპტიკოსები. აქვე იმასაც დავძენ: თუ მწერალი ხარ, მოუსვენარი ცხოვრება გელის. რაიმე სტიმულატორი არც კრიტიკოსს უნდა სჭირდებოდეს, თუ ის კრიტიკოსად არის გაჩენილი. თუ მართლაც რაიმე მკვეთრი სტიმულატორია საჭირო, ეს უპირველეს ყოვლისა საკუთარი შინაგანი უკმარისობის გრძნობა უნდა იყოს. ეს ყველაფერზე მეტად ზრდის კრიტიკოსსაც. და, ბოლოს, ფიროსმანისა არ იყოს, „მთავარი მაინც სიყვარული“...

პუბლიცისტიკა

ამ დღეებში თბილისში გაიმართა რესპუბლიკური სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენცია: „კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევა სოციალისტური ცხოვრების წესის, კომუნისტური მორალის ნორმების პრინციპების საყოველთაო დამკვიდრების წანამძღვარია“.

გთავაზობთ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარის, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორის გიორგი ბედინეიშვილის წერილს თემაზე: პრესის როლი კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის საქმეში.

მეგზური — სიკეთის რწმენა და იმედი

გიორგი ბედინეიშვილი

როგორია პრესის როლი კერძომესაკუთრული ტენდენციების დაძლევის საქმეში?

ამ კითხვაზე მარტივი პასუხის გაცემა დღეს, სხვა თუ არაფერი, გულუბრყვილობა იქნება.

კიბერნეტიკა თავისი ალგორითმებითა და ჰოლოგრაფით, მეცნიერულ-ტექნიკური ბუმის სხვა საოცრებანი ადამიანის აზრის პირმშოა. ადამიანმა შექმნა მოაზროვნე მანქანები, მაგრამ საკუთარი შეგნების დაპროგრამება, ზნეობის ავტომატური მართვა ფანტაზიად რჩება და მასვე განეკუთვნება ალბათ ჯერ კიდევ დიდხანს.

თითქოსდა დიდი გაუგებრობა და შეუსაბამობაა ის, რომ ქირურგიული ჩარევით შესაძლოა ადამიანს გამრავლების უნარი — ბუნების ეს განსაცვიფრებელი ნიჭი წაართვა, დედამიწაზე ადამიანის დანიშნულებას ერთ-ერთი ნიშანსვეტი გამოაცალო და ამავე დროს არც ქიმიას, ბიოლოგიას, ფიზიოლოგიას, ფსიქოლოგიას, მედიცინას, ფარმაკოლოგიას და არც კიბერნეტიკას — არც ერთს ცალ-ცალკე, და არც ყველას ერთად — არ ძალუძთ თავიანთი საშუალებებით ადამიანიდან გამოდევნონ მესაკუთრული სული ანუ, უბრალოდ თუ ვიტყვით, ნივთური სწრაფვა.

რას ვიზამთ, შეგნება, ზნეობა მატერია არ არის. თავის ქალის ტრეპანაციის შედეგად ტვინს სიმსივნეს მოჰკვეთ, ადამიანს გადაარჩენ, გონს შეუნარჩუნებ, მაგრამ ამოკვეთილი დეფორმირებული უჯრედის პათოლოგიასთან ვერ გააყოლებ შეგნების პათოლოგიასაც.

მაშ, კვლავ ხელთუქმნელი და შეურყეველი რჩება მარქსისა და ლენინის იმ დებულების ბრჯენი, რომლის მიხედვითაც ადამიანის შეგნებასა და ზნეობაზე განმსაზღვრელი ზემოქმედება გარემოცვას აქვს. რა თქმა უნდა, გასათვალისწინებელია ისტორიული ფაქტორიც და გენეტიკური ფენომენიც.

ისტორია კი ჩვენ ვიცით. კაცობრიობამ, მისდა სამწუხაროდ, ადამიანთა საზოგადოებრივ ურთიერთობას საფუძვლად საკუთრება დაუდო. საკუთრებამ წარმოშვა კლასები და საზოგადოებრივი ფორმაციების ხასიათს საწარმოო საშუალებების საკუთრებისადმი მიმართება ადგენდა. საუკუნეების მანძილზე მესაკუთრულმა სულმა მკვიდრად დაიბუდა ადამიანის ბუნებაში, ფესვი გაიდგა, სისხლში და გენში გადავიდა, მისი საქციელის მოტივად იქცა.

და აი, კომუნისტებმა ითავეს სრულიად ახალი შინაარსის ზოგადკაცობრიული მისია — დასაბამი მიეცათ უკლასო საზოგადოებისათვის, აეშენებინათ კომუნისტური საზოგადოება, სადაც საკუთრება ველარ იბატონებდა ადამიანთა ურთიერთობაზე, სადაც პიროვნების სრული თავისუფლება ყოველგვარი პოზიტიური და სასიკეთო შემოქმედების საწყისი გახდებოდა.

ამიტომ მიანიჭეს კომუნისტებმა გარემოცვას გადამწყვეტი როლი მაღალი საზოგადოებრივი შეგნების, მაღალი საზოგადოებრივი ზნეობის ჩამოყალიბებაში და თან თქვეს: სოციალიზმის, მით უმეტეს განვითარებული სოციალიზმის პირობებში ხალხის ავანგარდს — პარტიას (რომელიც თავისთავად სუბიექტური ფაქტორია არა მარტო რევოლუციური სიტუაციის, არამედ, გარკვეული აზრით, თვით რევოლუციური პროცესისაც) ძალა და უნარი შესწევს შექმნას ისეთი გარემოცვა, რომ კერძომესაკუთრულ სულისკვეთებას ტენდენციის რანგი, ხარისხი და ხასიათი დაუკარგოს.

მაშ, ყველაფერი ჩვენზე ყოფილა დამოკიდებული. გამოდის, ამგვარი გარემოცვა სწორედ ის არის, რისთვისაც ასე თანმიმდევრულად, პრინციპულად, მუხლმოუყრელად და მუხლმოუხრელად იბრძვიან საქართველოს კომპარტია და მისი ცენტრალური კომიტეტი.

დიახ, სწორედ რომ ასეა! ტენდენციას ობიექტური საყრდენი გამოცლილი აქვს, სუბიექტური წინა პლანზე გამოდის, ოღონდ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ დღეს დავთქვათ და ხვალ განწმენდილებმა გავიღვიძოთ.

ნურავის უკვირს, თუ საუკუნეების მემკვიდრეობას 60 წელიწადში ვერ მოვერიეთ, — დაძაბული ბრძოლა და ბეჯითი მეცადინეობა ხანგრძლივი გამოდგება. მაგრამ იმასაც ნურავინ იტყვის, რომ ბრძოლის შედეგს კვლავ საუკუნე უნდა ველოდოთ.

იქნებ სულ ერთი ან ორი თაობის ამბავი იყოს, რომ მომხვეჭელი, მექრთამე, თაღლითი მარტო თეორიაში კი არა, ცხოვრებაშიც ანომალიად იქცეს.

და თუ საქართველოში იმ მორალურ-ფსიქოლოგიურმა ამინდმა გასტანა, რომლისთვისაც დღეს ასე ვიღვწით, ზღრუბლს მომდგარი ახალი XXI საუკუნის კარიბჭეს შეაღებს ახალი თაობა, თავისუფალი ნივთიერი სამყაროს ობისაგან, ლაღი, შემოქმედი, ფულის კეთების ხერხების ძიებით ზნეობადაუბორკავი.

რაო, ძველსა და საშუალო თაობაზე ხელი ხომ არ ჩაგიქნევია? — მეკითხება კრიტიკოსი.

არა და არა, პირიქით!

მახსენდება 1972 წლის მიწურული, როცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის აპარატის წინაშე მისმა ახალმა ხელმძღვანელმა ამხ. ედუარდ შევარდნაძემ სიტყვასიტყვით ასე თქვა: კერძომესაკუთრული სული ყოველ ჩვენგანში მეტნაკლებად ტრიალებს, ბრჭყვიალა ნივთი ყოველ ჩვენგანს მეტ-ნაკლებად თვალს სჭრის, ე. წ. „კარგ“ ცხოვრებას ყოველი ჩვენგანი მეტ-ნაკლებად ელტვის. საქმე ის არის, რომ თითოეულმა ჩვენგანმა დავთრგუნოთ ეს ცთუნებები, რათა შვილები და შვილიშვილები აღვზარდოთ კრიალა ზნეობის, ფულისა და ნივთის ძებნაში მათ შეგნებული ცხოვრების სილამაზე რომ არ მოვუსპოთო.

დიახ, ძველმა და საშუალო თაობამ ამთავითვე უნდა მოჰკიდოს ხელი ამ საშვილიშვილო საქმეს, თუ კეთილი ბოლოს მოახლოებაზე ვფიქრობთ.

დიახ, ეს ფრაზები არ არის, არც ილუზია, ეს რეალობაა, რომელიც ჩვენს ხელთაა და რომელიც ჯადოსა და მისნობას არ მოითხოვს.

დაბალი ხელფასიო, ხორცის პრობლემაო?! ქირქილებენ სკეპტიკოსები, ცინიკოსები, ურწმუნო თომანი.

აქაც „დიახ“ გვეთქმის. არსებობს ერთიც და მეორეც, არის კიდევ სხვა სიძნელეებიც. მაგრამ ჯერ ერთი, ვინ თქვა, რომ სოციალიზმი მარტო ფუფუნებაა, რძის მდინარეები და კისელის ნაპირებია. ვინც ასე ფიქრობს, მარქსის ჯერ კიდევ ადრინდელ ნაშრომებს (მაგალითად, „18 ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა“) ჩახედოს, ლენინს დაეკითხოს, ამხანაგ ბრეჟნევის მოსაზრებანი გაიხსენოს.

მარქსიზმს ხინჯად ვერ ჩაეთვლება ბუნების ჭირვეულობანი ან საზოგადოებრივი მართვის ამა თუ იმ სისტემის და თუნდაც სახელმწიფო აპარატის ნაკლი.

სიძნელეები არის და კიდევაც იქნება ჯერ!

მაგრამ — და ეს მეორეც, ყველაზე მთავარი — საქმე ხომ საკუთარი შვილის აღზრდას ეხება, აღზრდას იქნებ სწორედ ამ სიძნელეებზე. საქმე ეხება საკუთარი შვილისა და შვილიშვილის მორალს, ზნეობას, ცხოვრების პრინციპებს, მათ მთელ მომავალს. ისე კი აღარ ეწყობა, ოჯახში ზნეობა იქადაგო და გარეთ იქურდო! საქმე ხომ ტენდენციას, სულისკვეთებას ეხება და არა საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმიდან ცალკეულ გადახვევებს.

თუმცაღა მათაც თუ მარტო თვალს შევავლებთ, აღმოჩნდება, რომ დღეს სიღარიბისა და შიმშილის გამო აღარავინ ქურდობს, რომ ძარცვისა და გლეჯის კულტი, მომხვეჭელობისა და გამდიდრების „იდეოლოგია“ მეტწილად გაქსუებული ოჯახების შვილებიდან მოდის.

აღზრდა საერთოდ, აღზრდა უმცროსისა და თვითაღზრდა უფროსის, დისციპლინა საერთოდ და თვითდისციპლინა განსაკუთრებით, უმცროსთა ქცევის ანალიზი საერთოდ, მაგრამ ჯერ თვითანალიზი — აი, ნივთის ტყვეობიდან ადამიანის დახსნის ძირითადი მიმართულებანი.

ოჯახი, სკოლა, საზოგადოება, შრომის აპოლოგია, ყველა ამათი ერთობლიობა, — აი ის კომპლექსი, რომელიც ჩვენი პარტიის XXV ყრილობამ მიიღო, როგორც ახალგაზრდობის აღზრდის ყველაზე ქმედითი და ეფექტიანი. ჩვენი რესპუბლიკის მაგალითზე კი თამამად უნდა ვაღიაროთ აღზრდაში ოჯახის პრიმატი. შვილის გაზრდისათვის ოჯახის პასუხისმგებლობის მკვეთრი ამაღლება საზოგადოების, ერისა და ქვეყნის წინაშე — აი რა გვჭირდება ახლა ჩვენ.

ცხოვრება ასეთ რთულ პრობლემებს აყენებს და განა მართლაც გულუბრყვილობა არ იქნება ამ დროს ერთნიშნა ცნებებით ვიხელმძღვანელოთ და პრესის როლი და დანიშნულება იმით განვსაზღვროთ, რომ რაც შეიძლება მეტი მასალები ვბეჭდოთ ნეგატიურ მოვლენებზე? ამგვარი მეტობით მიზანს ავცდებით, „მეტს“ შეეჩვევა მკითხველის თვალი. იყოს ნაკლები, ოღონდაც აზრით და არსით სავსე, სულის შემძრავი, გულსმწვდომი.

რესპუბლიკის პრესა რთულ ამოცანას ღონივრად შეეჭიდება და მას თავს გაართმევს:

— თუ მის ფურცლებს არა შელამაზებული, არა სანახევრო, არამედ მხოლოდ სრული, ცხოვრებისეული სიმართლე დააკაბადონებს, როგორც ამას იდეოლოგიის საკითხებზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1979 წლის 22 აპრილის დადგენილებაც მოითხოვს, და რაც, სხვათა შორის, იმასაც ნიშნავს, რომ არ შევუშინდეთ ზერელე, ფსევდომეცნიერულ თვალსაზრისს, არ შევეპუოთ ზერელე, ფსევდომეცნიერებს, რომლებიც მზად არიან ჭეშმარიტი მეცნიერება და ცხოვრების ლოგიკა ხშირად სამსხვერპლოდ შესწირონ ე. წ. „შუბლისმიერ“ პროპაგანდისტულ მიზანს და რომლებიც ასევე მზად არიან, თუ სიმართლე თქვი, ბურჟუაზიული იდეოლოგიის მქადაგებლად მოგნათლონ.

— თუ ცხოვრებაში გაატარებს ლენინის მოთხოვნას—არ შეასუსტოს კონტროლი შრომისა და მოხმარების ზომისადმი. ეს პრესას საშუალებას მისცემს მაღალი ზნეობა და ინტელექტი აქტიურად დაიცვას ნივთების გაფეტიშებისა და, უკაცრავად უხეში გამოთქმისათვის, კუჭის გასტრონომიის მოწოლისაგან.

— თუ შეძლებს საზოგადოებრიობა დაარწმუნოს იმაში, რომ სოციალიზმის პირობებში ნეგატიურ მოვლენათა დიდი უმრავლესობა კერძომესაკუთრული ფსიქოლოგიიდან მომდინარეობს.

— თუ აღუდგება კერძომესაკუთრულ ბუნებაზე დაყრდნობილ გამოვლინებებს ნივთიერი სამყაროს მიღმაც, ისეთებს, როგორიც არის კარიერიზმი, ყასიდი გულმოდგინება, „თანამდებობა მომეცის“, „ორდენი მომეცის“, „იუბილე გადამიხადეს“ ციებ-ცხელება და სხვა ამგვარი.

— თუ კონკრეტულ ცხოვრებისეულ მასალაზე გახსნის ცნებების „ჩემის“ და „ჩვენის“ ურთიერთმიმართებას და პროპაგანდას და პოპულარიზაციას გაუწევს ფორმულას: ჩვენს პირობებში საზოგადოების კეთილდღეობა მისი თითოეული წევრის, პიროვნების კეთილდღეობასაც გულისხმობს.

— თუ ხელს შეუწყობს ისეთი მავნე თეორიების მოშლასა და გაბიაბრუებას, რომლებიც ცდილობენ ახსნა მოუნახონ ან გაამართლონ კიდეც ამწუთიერი სიამოვნებისათვის ამაღლებულის, იდეალის მსხვერპლად გაღება, ან დევიზი: „ამ ცხოვრებაში ერთხელ მოდიხარ, მოკვდები, პრასი ხომ არა ხარ მეორედ ამოხვიდე, ჰოდა, მოასწარ, ყველაფერი წაართვი ცხოვრებას“ და ა. შ.

— თუ ჩამოხსნიან მოჩვენებითი კაიკაცობის ნიღაბს კომბინატორებსა და საქმოსნებს, რომლებიც საზოგადოების ერთი ნაწილის თვალში პირდაპირი გაგებით ქურდების კატეგორიაში რატომღაც არ გადიან. ხომ გსმენიათ: უჰ, რა კაი კაცი დაიჭირეს. მართალია, შოულობდა, მაგრამ ბალიშში კი არ ინახავდა, საქველმოქმედო საქმეებს ახმარდაო. იმან მოჭადრაკეებს უშველებელი ბანკეტები მოუწყო, ამას კი ერთი მეტად ცნობილი ფეხბურთელის გადმოყვანა „ოთუსბირი“ დაუჯდაო.

— თუ ეგოისტურ ინსტინქტებს უფრო მარჯვედ დაუპირისპირებს სატირულ ჟანრებს.

ბევრი პირობაა კიდევ ჩამოსათვლელი, ბეჭდვითმა სიტყვამ უკეთ რომ გაჭრას, ყველას ვერ მოთვლი.

ერთი რამ კი, ფრიად სერიოზული რამ, ხმამაღლა, გარკვევით და გადაჭრით უნდა ითქვას და უპირველეს ყოვლისა ბეჭდვითი სიტყვის, გამომცემლობათა, პრესის, ტელეხედვის, რადიოს, მოკლედ, ინფორმაციისა და პროპაგანდის ყველა მასობრივი საშუალების მიმართ.

აი, რა!

კრიტიკის საჯაროობა დიდი ქმედითი ფაქტორია. სწორედ ამიტომ იგი ფაქტის სიზუსტეს, ცნებების, ტერმინების, შეფასებების აღურევლობას მოითხოვს, ამ თვალსაზრისით, მაგალითად, ხულიგნობა, შანტაჟი, ბიუროკრატიზმი ყველა თავის გამოვლინებაში კერძომესაკუთრულ ფსიქოლოგიას არ ესადაგება. სპეციალურ ლიტერატურაში და პერიოდიკაში კი ამგვარი განზოგადოებანი გვხვდება. ეს შედარებით უწყინარი მაგალითია. მაგრამ დაზღვეული ვერ ვიქნებით მიუტევებელი შეცდომისაგან, თუ ნეგატიურ მოვლენებთან ბრძოლის სწორი მეთოდოლოგია ვერ ჩამოვქენით. ამ ბრძოლას თავისებურებები და თავისი ნიუანსები აქვს. მათი გათვალისწინება აუცილებელია, რათა აწინდელი ისტორიისა და მეისტორიის, მომავლისა და მომავალი თაობების წინაშე ცოდვად არ დაგვედოს გაცხარებულ გულზე შესაძლებელი გაუმართლებელი, მცდარი განზოგადებანი.

მტკივნეულ პრობლემათა გაშიშვლებას, რაც თავისთავად ერთადერთი სწორი გზაა მიზნისაკენ, საშიშროებაც თან სდევს, საშიშროება იმისა, რომ, რაკი ტენდენციაზე, ფსიქიკაზე, ფსიქოლოგიაზე, საზოგადოებრივ შეგნებასა და ზნეობაზეა ლაპარაკი, არ მოგვეჩვენოს, მით უფრო არ მოვაჩვენოთ ვინმეს, თითქოს ერის ბუნებისათვის დამახასიათებელ სატკივარს ვებრძვით. ეს არაფრით არ იქნება! ამით ხომ კვერს დავუკრავთ ჩვენს ნამდვილ მტერს — შინ და გარეთ — უფრო საზღვარს იქით, რომელიც ძალიან მონდინებულია საქმოსნობა, სპეკულაცია, ვაჭრუკანული სული ქართველების ეროვნულ თვისებას მიაწეროს. სხვა არა იყოს რა, ეს ხომ უბრალოდ უსამართლობა იქნება.

მაშასადამე, როცა პრესაში ერთხელ დაიწერება მექრთამეზე და მომხვეჭელზე, ორჯერ, ოთხჯერ უნდა დაიწეროს საზოგადოების ჯანსაღ ძალებზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ გორის რაიონის სოფელ ბერბუკში ცხოვრობს ქართველი კაცი, რომელმაც ომიდან დაბრუნებისას ნადავლად „ოპელი“ ან გობელენი კი არ ჩამოიტანა, არამედ ვაზის სასხლავი და წიგნი აგროტექნიკის იმდროინდელ მსოფლიო დონეზე, რათა შემდეგ მშობლიურ სოფელში მეურნეობა დაეწინაურებინა, რაც, აკი, ასე საფუძვლიანად მოახერხა. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ ჩვენს შორის არის ერთი მეცნიერი, ქართველი კაცი, რომელმაც ამერიკის შეერთებულ შტატებში წაკითხული ლექციების ჰონორარით, სავალუტო ოქროთი თბილისის კვლევითს ინსტიტუტს ძვირად ღირებული აპარატურა შეუძინა.

და საერთოდ, რისი მტკიცება გვიხდება? იმისა, რომ ოთარაანთ ქვრივის მორალზე თაობები აღიზარდა?.. თუ იმისა, რომ დიდმა შოთა რუსთაველმა ჩვენი ერისა და ქვეყნის ბუნებას ფირნიშად ააკრა: რასაცა გასცემ, შენია?..

ეს მუდამჟამ გვახსოვდეს და მაშინ კეთილის რწმენა და იმედი ჩვენი სასიკეთო და საიმედო მეგზური იქნება იმ დიდ, საშვილიშვილო მიზნამდე.

მიხეილ მრევლიშვილი

ქართულმა მწერლობამ დიდი დანაკლისი განიცადა — გარდაიცვალა ცნობილი მწერალი და საზოგადო მოღვაწე მიხეილ მრევლიშვილი.

მიხეილ ნიკოლოზის ძე მრევლიშვილი დაიბადა 1904 წელს. ბავშვობა და ყრმობა კახეთში, თავის მშობლიურ იყალთოში გაატარა. 1924 წელს თბილისის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ შედის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტზე. 1928 წელს სწავლას აგრძელებს მოსკოვში და იღებს ეკონომიკურ განათლებას.

1933 წელს მ. მრევლიშვილი თბილისში ბრუნდება და სხვადასხვა პასუხსაგებ თანამდებობაზე მუშაობს. დიდი სამამულო ომის დაწყების დღიდან იგი საბჭოთა არმიის რიგებშია.

ომის დამთავრების შემდეგ მ. მრევლიშვილი მთლიანად უბრუნდება ლიტერატურულ მოღვაწეობას. სხვადასხვა დროს მუშაობს ხალხური შემოქმედების სახლის დირექტორის მოადგილედ, საქართველოს მწერალთა კავშირის კონსულტანტად, გამომცემლობა „ზარია ვოსტოკას“ მთავარ რედაქტორად, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარედ, ჟურნალ „ლიტერატურნაია გრუზიას“ მთავარ რედაქტორად.

მიხეილ მრევლიშვილი სამწერლო ასპარეზზე ოციან წლებში გამოვიდა. 1926 წელს დაბეჭდა თავისი პირველი დიდი ნაწარმოები — რომანი „ინონ“, რომელმაც ქართულ სალიტერატურო წრეებსა და მკითხველებში ცხოველი ინტერესი გამოიწვია. ამ რომანს ზედიზედ მოჰყვა მოთხრობები „ობობა“, „სუმიდა“, „ხავსმოდებული ნაფოტები“.

მწერლის მკვეთრი შემოქმედებითი ევოლუცია, თანამედროვეობის თემასთან მისი მტკიცე დაახლოება ოცდაათიანი წლების დასაწყისში მოხდა, სწორედ ამის შედეგად დაიწერა მოთხრობა „შიში“.

1944 წელს კი ჩვენს პერიოდულ პრესაში გამოქვეყნდა მიხეილ მრევლიშვილის მოთხრობა „ოქროს ზარნიშიანი ხანჯალი“, რომელიც დიდი სამამულო ომის თემას ეხება. ამ მოთხრობით იწყება მ. მრევლიშვილის შემოქმედებითი მოღვაწეობის ახალი, თვალსაჩინო წარმატებებით აღსავსე პერიოდი.

1946 წელს ლიტერატურული გაზეთის ფურცლებზე დაისტამბა მ. მრევლიშვილის ვრცელი მოთხრობა „ხარატაანთ კერა“. ის დიდი ინტერესი, რომელიც მაშინ მკითხველ საზოგადოებაში გამოიწვია ამ მოთხრობამ, დღემდე არ შენელებულა. ამ ნაწარმოებით მისი ავტორი ქართული საბჭოთა მწერლობის გამოჩენილ ოსტატებს ამოუდგა გვერდში.

მ. მრევლიშვილის შემოქმედებაში განსაკუთრებული ადგილი უკავია „თბილისურ ნოველებს“, სადაც მწერალმა დიდი ცოდნითა და კოლორიტული ფერებით დახატა ძველი თბილისის სურათები და სახეები. მისთვის ჩვეული მომხიბლავი პოეტური ენით დაწერილი თბილისური ნოველები გულითადად შეიყვარა ქართველმა მკითხველმა.

დიდია მ. მრევლიშვილის ღვაწლი ქართული თანამედროვე დრამატურგიის განვითარებაში. პირველი პიესა, რომლითაც მწერალი დრამატურგიულ ასპარეზზე მოგვევლინა, „ნიკოლოზ ბარათაშვილი“ იყო.

სამამულო ომის შემდგომ წლებში მ. მრევლიშვილის დრამატურგიამ [illegible] რეპერტუარი [illegible] მგზნებარე [illegible] ცხოვრებისეული [illegible] გონებელი [illegible].

მ. მრევლიშვილის „ზვავის“, „ნიკოლოზ ბარათაშვილის“ დადგმებმა [illegible] დუვს ჩ[illegible] თა სინამდვილისა და ისტორიული წარსულის წარმოსახვის მდიდარი შესაძლებლობანი, არამედ გზა გაუკვლიეს სხვადასხვა თაობის მსახიობთა მიერ შექმნილ სცენურ სახეებსაც.

პიესა „ზვავი“ მ. მრევლიშვილის ყველაზე პოპულარული დრამატული ნაწარმოებია, რომელიც ომის შემდგომი ქართული დრამატურგიის ერთ-ერთ თვალსაჩინო მიღწევად არის მიჩნეული.

მ. მრევლიშვილი ნაყოფიერი საზოგადოებრივი მოღვაწე გახლდათ; იგი წლების მანძილზე საქართველოს მწერალთა კავშირის [illegible] ხელმძღვანელი და, იყო გამომცემლობა „მერანის“ რუსული რედაქციის მთავარი რედაქტორი.

ყველას კარგად ახსოვს, როგორი გატაცებითა და ენერგიით რედაქტორობდა იგი ჩვენს რუსულ ჟურნალს „ლიტერატურნაია გრუზია“ და რამდენი შრომა გასწია ჩვენი რესპუბლიკის გარეთ ქართული ლიტერატურის პოპულარიზაციისათვის. მ. მრევლიშვილი დაჯილდოებული იყო „საპატიო ნიშნის“ ორდენით და მედლებით, მინიჭებული ჰქონდა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.

მ. მრევლიშვილი მომხიბლავი ადამიანი, მეგობარი და მოქალაქე იყო. ამ მხრივ მისი პიროვნება მუდამ სამაგალითოდ დარჩება მომავალი თაობებისათვის.

მშობელი ხალხი, ქართველი მწერლები დიდი გულისტკივილით ემშვიდობებიან ვალმოხდილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს.

ე. ა. შევარდნაძე, პ. გ. გილაშვილი, ზ. ა. პატარიძე, გ. ნ. ენუქიძე, ა. ნ. ინაური, გ. ვ. კოლბინი, ო. თ. კულიშევი, თ. ნ. მენთეშაშვილი, ჯ. ი. პატიაშვილი, ო. ე. ჩერქეზია, ზ. ა. ჩხეიძე, ნ. ა. ჟიტანავა, ს. ე. ხაბეიშვილი, გ. ვ. ადლეიბა, თ. ი. მოსაშვილი, ვ. რ. პაპუნიძე, ფ. ს. სანაკოევი, შ. კ. შარტავა, ვ. ი. ქარუმიძე, ა. დ. ალექსიძე, გ. გ. აბაშიძე, ი. გ. აბაშიძე, დ. ა. ალექსიძე, ვ. ი. ანჯაფარიძე, გ. ლ. ასათიანი, გ. ვ. ბედინეიშვილი, კ. გ. ბუხნიკაშვილი, ა. კ. გომიაშვილი, ნ. ს. გურაბანიძე, ნ. ვ. გურგენიძე, ა. ა. დვალიშვილი, ნ. ვ. დუმბაძე, ო. ვ. თაქთაქიშვილი, ა. ვ. კობაიძე, ე. ს. მაღრაძე, ი. ე. ნონეშვილი, გ. შ. ორჯონიკიძე, გ. ვ. ჟორჟოლიანი, ჯ. ა. ჩარკვიანი, ი. ნ. ჩხენკელი, გ. შ. ციციშვილი, ნ. შ. ჯანბერიძე.

●

წავიდა ჩვენგან მიხეილ მრევლიშვილი, შესანიშნავი ქართველი მწერალი, დრამატურგი, თეატრალური მოღვაწე, პატრიოტი მოქალაქე. ნათელი ადგას მის სახელს. იმ ნათელს ვერას დააკლებს წარმავლობის მსახვრალი ხელი. წავიდა, მაგრამ რამდენი ძვირფასი მოგონება დატოვა მკითხველებში, ქართული თეატრის გულმართალ მაყურებლებში, მეგობრების მეხსიერებაში. ერთი თვალის გადავლებაც კმარა, რომ თვალწინ წარმოგვიდგეს მისი ლამაზი სიცოცხლე, მუდამ შეღერებული გამოხედვა, სიტყვის ლაზათი და აზრიანობა.

ჩვენ ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში, მოსკოვში შეგვყარა ბედმა ახალგაზრდული ქართული თეატრის დაარსებაზე მეოცნებენი. მერე რუსთაველის თეატრის თაღებქვეშ კვლავ შევხვდით უკვე ჩამოყალიბებული დრამატურგი და რეჟისორი. არასოდეს დამავიწყდება ის დღე, როცა თავისი მშვენიერი დრამა „ბარათაშვილი“ წაიკითხა თეატრში. ის უკვე ნაცადი მწერალი იყო და სცენაზეც ღონივრად შემოდგა ფეხი. „ხარატაანთ კერის“ ავტორმა უკვე მოასწრო ომით დასეტყვილი ქართველი გლეხკაცის გულში ჩახედვა და თავისი ხალხის წმინდა ჭრილობებს სათუთად შეეხო. ვაჟკაცური მხნეობისა და სიცოცხლის მადიდებელი მწერალი ნამარი ხალხის დარდს ელოლიავებოდა და ადამიანებს მართალ ცხოვრებაში ახედებდა.

მისი „ბარათაშვილი“ იმ ძვირფასი სახეების წარსულიდან გამოხმობა იყო, ასე ღრმად რომ ცოცხლობდნენ ბავშვობის დროიდან პოეტურ წარმოსახვაში. ის მუდამ წარსულისა და აწმყოს მყარ ხიდზე იდგა, იქიდან გაჰყურებდა თავისი ხალხის ცხოვრებას. ძლიერი, თავისთავადი ხასიათების ხატვა იცოდა. მკვრივი, მთლიანი, ღრმად დრამატული ბუნების ადამიანებს უღრმავდებოდა, იმათ ურთიერთობებს კოლორიტული ენით წერდა, ოდნავ ამღერებულ კილოზე, თითქოს თეთრ ლექსად ამბობდა სათქმელს. მის მოთხრობებსა და დრამებს თავშეკავებული აუჩქარებლობა ეტყობოდა. დიდი ხნის ნაფიქრალი ძნელად გამოჰქონდა საქვეყნოდ მკითხველისა და მაყურებლის სამსჯავროზე. სამაგიეროდ გამძლე და მყარი იყო მისი შექმნილი სახეები. სხვაგვარად არ გაჩნდებოდნენ წიგნებში და სცენაზე ზურია ხარატელისთანა ადამიანები. არც თინიბეგ უთურგაულის ძლიერი, მაგრამ მრუდე ხასიათი შეიქმნებოდა უბრალოდ. სერგო ზაქარიაძის განსახიერებული თინიბეგი სამუდამოდ დარჩა ქართული საბჭოთა თეატრის ისტორიაში. ისტორია კი, მოგეხსენებათ, კარს იშვიათად უღებს ვინმეს იოლად.

როგორც საზოგადო მოღვაწე, ჩვენი ძვირფასი მიხეილი საქართველოს თეატრალური საზოგადოების პრეზიდიუმის უცვლელი წევრი, რამდენიმე წელიწადი მისი თავმჯდომარე, მრავალი სასიკეთო საქმიანობის წამომწყები, დაუღალელი მოქალაქე და ამაგდარი გახლდათ. არც ის საქმეები მიეცემა დავიწყებას, ასე რომ ასრულებენ მისი მთლიანი პიროვნების პორტრეტს. მჯერა, რაც დრო გავა, კიდევ უფრო ნათლად და ღირსეულად გამოჩნდება მისი ნაწერების ღირსება, საქმენი და პატიოსნად გავლილი ცხოვრება.

მისი მშობლიური იყალთო შორი გზიდან მობრუნებულივით მიეგებება იქიდან ოდესღაც წამოსულ კაცს. ამიტომ ასე სევდიანი, მაგრამ მხნეობით სავსეა ძვირფას მიხეილთან დამშვიდობება, რადგან მისი შექმნილი სახეები არასოდეს არ წავლენ ჩვენგან. მიწისაგან შექმნილნი მიწასავით გამძლე იქნებიან მარად.

დიმიტრი ალექსიძე

●

კვლავ შენს სოფელს დაუბრუნდი, მიხეილ.

როგორც წვიმის წვეთი, — როგორც წყლის წვეთი უბრუნდება თავის მშობელ დედას — ოკეანეს, შენც ასევე უბრუნდები შენს იყალთოს.

დასრულდა შენი ოდისეა. ისე დასრულდა, შიგ ღმერთებს წილი არ დაუდვიათ.

შემოქმედის გზა მრავალგვარია. იღბლიანთათვის იით და ვარდით მოფენილი, უიღბლოთათვის ეკლით და ღორღით. შენ ფეხშიშველმა გამოვლე უიღბლოთა გზა და ნაგვემი ჯანით პიროფლიანმა პირნათლად მიიტანე შენი წილი ტარიგი მამა-პაპათა სამსხვერპლოზე.

დღეს პირველმა შენ გასტეხე ყამირი და ქართველ შემოქმედთ უჩვენე იმის მაგალითი, როგორ უნდა იქცეოდეს სიკვდილშემდეგაც.

შენ პირველი გაერიდე ვეება ქალაქს.

ვერ მოგიარეთ იყალთოელებმა, როგორც გეკუთვნოდა. შენი სიცოცხლე სხვათა კერების დამცველი იყავ, შენი საკუთარი კი მოვუშალეთ იყალთოში.

დღევანდელი დღე შენთვის უკან მიდევნებული სანთელია. მაგრამ, რაკი ცოცხალთაგან პირი იქციე, ის სანთელი წინ გაგიძღვება.

დღეის შემდეგ შენ აქ იქნები, — შენი იყალთოს თბილ მიწაში. იყალთოს წვიმა გაატანს ბელტებს და ნაჯაფარ სახეს ფრთხილად გადაგბანს. სატალის წვერზე შემდგარი მზე ჩამოგხედავს ხამუშდახამუშ და ნაზამთრალ, დაღლილ ძვლებს გაგითბობს ისევ. ჩუმათხევიდან მობერილი ნიავწანწალა შეგიშრობს შენი მიწისათვის უძირო სევდით სავსე თვალზე წამომდგარ ცრემლებს, ხოლო ყვავილნი გაზაფხულობით ნამს გაპკურებენ...

მშვიდობით, ჩემო უფროსო ძმაო, თანამოსაგრევ და ბედშიაც თანაზიარო...

ლადო მრელაშვილი

გამოჩენილი მეცნიერი, მოღვაწე, მამულიშვილი

(აკადემიკოსი სერგო დურმიშიძე 70 წლისაა)



რომ არ იცნობდე ამ რომანტიკული ბუნების კაცს, რომ არაფერი გაგეგონოს მისი უმწიკვლო ცხოვრებისა და საოცრად ნაყოფიერი მოღვაწეობის შესახებ, მხოლოდ მასთან ურთიერთობის მეოხებით ვერაფრით ვერ შეამჩნევ ნატამალსაც კი, იმ კმაყოფილებისა თუ სიამაყისა, რომელიც არა თუ სავსებით ბუნებრივია და ჩვეულებრივი, არამედ გარდუვალიც კი არის მისი დონისა და მნიშვნელობის მეცნიერთათვის; ყველა იმისათვის, ვისაც იმდენი ნაღვაწ-ნამოქმედარი გააჩნია, რამდენიც ამ ბასრი, მაძიებელი ნიჭისა და იშვიათი უნარის ადამიანს.

აკადემიკოსი სერგო დურმიშიძე დიდად სახელოვან ქართველ მეცნიერთა იმ სახიქადულო რაზმეულს განეკუთვნება, ვისაც შორს გააქვს თანამედროვე საბჭოთა მეცნიერების სახელი და საერთაშორისო ავტორიტეტს უქმნის მას, ვინც საბჭოურ მეცნიერებას სარბიელს უფართოებს და ახალ სიმაღლეებს აპყრობინებს.

აკადემიკოსი სერგო დურმიშიძე მსოფლიოში აღიარებული ავტორიტეტია. იგი ერთ-ერთი თავკაცია ისეთი პერსპექტიული მეცნიერებებისა, როგორიც არის მცენარეთა ბიოქიმია და ტექნიკური ბიოქიმია. ს. დურმიშიძის მრავალი აღმოჩენა უკვე კარგა ხანია ჩართულია საერთაშორისო სამეცნიერო წრებრუნვაში და საყოველთაოდ მიჩნეულია როგორც ამ მეცნიერებათა უმნიშვნელოვანესი შენაძენი. ქართველი მეცნიერის საკვლევაძიებო მუშაობამ მაღალი შეფასება მიიღო არა მარტო ჩვენში, არამედ რიგ საზღვარგარეთულ ქვეყნებში, კერძოდ, ბიოქიმიის განვითარების ისეთი მაღალი დონის ქვეყნებში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, საფრანგეთი, გერმანია, ავსტრია, იაპონია, ესპანეთი, კანადა და ზოგიერთი სხვა. არც ის არის შემთხვევითი, რომ თანამედროვეობის სახელმოხვეჭილი მეცნიერები, აკადემიკოსები — დ. პრიანიშნიკოვი, ვ. ენგელგარდტი, ა. ოპარინი, ა. კურსანოვი, ვ. ბუტკევიჩი, აღტაცებით წერენ მისი მეცნიერული აღმოჩენების შესახებ. ს. დურმიშიძის მეცნიერულ დამსახურებას აღნიშნავენ ისეთი გამოჩენილი საზღვარგარეთელი მეცნიერები, როგორიც არიან: ფრანგი უან რიმერო-გაიონი, ამერიკელი ჯეიმს ბონერი, გერმანელი კურტ მოტესი, ბულგარელი კუნიო სტოევი და მრავალი სხვა. ქართველი მეცნიერის ნაშრომები თარგმნილია ათეულ საზღვარგარეთულ ენაზე.

დიახ, დღეს უკვე საყოველთაოდ ცნობილია ს. დურმიშიძის ფუნდამენტური გამოკვლევები, რომელთაც შორს გაუთქვეს სახელი მის მიერვე ჩამოყალიბებულ ბიოქიმიის ქართულ სკოლას, რომელიც ამ დარგის წამყვანი ცენტრი გახდა მთელი კავშირის მასშტაბით. ს. დურმიშიძის სახელთან დაკავშირებულია არა ერთი უმნიშვნელოვანესი პრობლემური მიღწევა.

აკადემიკოსი ს. დურმიშიძე არა მარტო გამოჩენილი მკვლევარი-ექსპერიმენტატორია, არამედ ფართო განმაზოგადებელი დასკვნების მძლავრი უნარით დაჯილდოებული თეორეტიკოსიც. ალბათ, ეს უადვილებს ტვირთს, რათა ამავე დროს იყოს მეცნიერული საქმის უნარიანი ორგანიზატორი და მრავალრიცხოვანი სამეცნიერო კოლექტივების კვლევის წარმმართველი. ამის მაგალითად გამოდგება თუნდაც მის მიერ დაარსებული და მძლავრ სამეცნიერო კერად ქცეული მცენარეთა ბიოქიმიის ინსტიტუტი, ასეთი პროფილის ერთადერთი ინსტიტუტი მთელს საბჭოთა კავშირში. ამ ინსტიტუტის დაარსებით, მისი მაღალკვალიფიცირებული კადრების გამოზრდით ს. დურმიშიძე ახალი სამეცნიერო სკოლის მესაძირკვლედ მოგვევლინა.

ქართველ მწერალთა და ლიტერატორთათვის სერგო დურმიშიძე განსაკუთრებით მახლობელი და საყვარელია თავისი გამახვილებული ყურადღებით, თავისი უქრობი ინტერესით მშობლიური ლიტერატურისადმი. იგი ქართველ მწერალთა და ლიტერატორთა ჭეშმარიტი მეგობარია, მათი მხარისდამჭერი და ღონიერი შემწეა, და ეს არ არის შემთხვევითი: მხატვრული ნიჭით დაჯილდოებული მეცნიერი ერთხანს მწერლად გახდომაზე ოცნებობდა და ახალგაზრდობაში პოეზიით იყო გატაცებული. მისი თაობის მეგობრებს ჭარბად ახსოვთ დღევანდელი მეცნიერის პოეტური უნარი, თუმცა შემდეგ იგი ბუნებისმეტყველებამ გადაიბირა, მაგრამ სერგო დურმიშიძე მაინც ბოლომდე დარჩა მხატვრული ლიტერატურის ერთგულ თაყვანისმცემლად და არა მარტო თაყვანისმცემლად: იგი არის ავტორი მხატვრული ხასიათის თხზულებებისაც. მის ლიტერატურულ პორტრეტებში იგრძნობა ავტორის პოეტური ბუნება, მახვილი თვალი, დაკვირვებულობა, თბილი ლირიზმი და მწერლური უშუალობა. ასეთია მისი ჩინებული, ნამდვილად მხატვრული მოგონებები გიორგი ლეონიძეზე, იოსებ გრიშაშვილზე, ექვთიმე თაყაიშვილზე, ნიკო მუსხელიშვილზე და ზოგიერთ სხვაზე.

აკადემიკოსი ს. დურმიშიძე ისეთი მეცნიერია, რომლისთვისაც მეცნიერული კვლევა განუყოფელია ადამიანთა „კვლევისაგან“ — მათი შერჩევის, სწავლების, აღზრდის და ფართო სამეცნიერო გზაზე გამოყვანაზე ზრუნვისაგან. სწორედ ამან განაპირობა ის გარემოება, რომ იგი არა მარტო გამოჩენილი მეცნიერია, არამედ სკოლის მესაძირკვლეც, რაც განუზომლად ზრდის მისი, როგორც დამოუკიდებელი სამეცნიერო ჭეშმარიტი მეცნიერის როლსა და მნიშვნელობას ქართული და საკავშირო მეცნიერული საქმიანობისათვის.

აკადემიკოს დურმიშიძის სკოლის წვლილი, როგორც რესპუბლიკის ისე საკავშირო მასშტაბით, დღითიდღე იზრდება. ესეც ამ სკოლის შინაგან ერთიანობაზე, მის სიცოცხლისუნარიანობაზე, კვლევითი მუშაობის სწორად აღებულ გეზსა და პერსპექტიულობაზე მეტყველებს. შემთხვევითი როდია, რომ ბიოქიმიის ინსტიტუტი ერთადერთია ჩვენს ქვეყანაში და კვლევის უაღრესად ორიგინალური მიმართულებით გამოირჩევა. იგი დღეისათვის ბიოქიმიის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ცენტრად გადაიქცა არამარტო სოციალისტურ რეგიონში, არამედ საერთოდაც.

აკადემიკოს ს. დურმიშიძის სამეცნიერო სკოლას ახასიათებს ძალუმი სწრაფვა თეორიული მიღწევების პრაქტიკაში დანერგვისაკენ, ეს სწრაფვა კი ყოველთვის უაღრესად საჭირო და ფასეულია. ამიტომაა, რომ მის ინსტიტუტს მჭიდრო კავშირი აქვს დამყარებული წარმოებასთან.

ს. დურმიშიძის სახის ეს ნაჩქარევი აბრისი სრული არ იქნება, თუ არ აღვნიშნეთ მისი დიდი მამულიშვილობა. ეს ჭეშმარიტი პატრიოტი ყველაზე მაღლა მშობლიური ქვეყნისა და საბჭოთა ხალხის ინტერესებს აყენებს. მათდამი უანგარო, თავდადებული სამსახური მისი სიცოცხლის მთავარი მიზანია. ამიტომაც პოულობს იგი ამდენ ძალებს, ამიტომ ხარჯავს ამდენ ენერგიას, ამიტომ გააჩნია ესოდენ მაღალი მიზნები და სურვილები.

მეცნიერება — ამბობდა უკვდავი პასტერი — უნდა იყოს სამშობლოს ყველაზე ამაღლებული განსახიერება, რამდენადაც ხალხებს შორის იპირველებს იგი, ვინც იპირველებს აზრის ძიებასა და გონებრივ საქმიანობაში. მართალია, არ არსებობს ვიწრო ეროვნული ფარგლებით შემოზღუდული მეცნიერება, მაგრამ ყოველ მეცნიერს ჭეშმარიტების, ძიების, ხალხებისათვის ბედნიერების მოტანის სურვილთან ერთად წინ უნდა უძღოდეს თავისი ქვეყნის ხატებაც. სწორედ ასეთია აკადემიკოსი სერგო დურმიშიძე, ამიტომაც შესძლო მან ამდენი კეთილი საქმის აღსრულება.

თვითონ რომ განცვიფრდე, ამისათვის თვალის ერთი დახამხამებაც საკმარისია. მაგრამ შენი კეთილშობილური სწრაფვით, შენი მაღალი აზრით, შენი კეთილი ნამოქმედარით სხვისი განცვიფრება რომ შესძლო, — ამას ათეული წლების ჩაუმუხლავი შრომა და მთელი სიცოცხლის ფასად გაღებული გულის ცეცხლი სჭირდება. სერგო დურმიშიძემ თავისი მაღალი სულიერი თვისებების წყალობით ეს ჩინებულად შესძლო და ამიტომაც იმკის დღეს, ესოდენ უხვად საერთოსახალხო, საერთოეროვნულ მადლობას.

გიორგი ციციშვილი

მამულო ჩემო

ასჯერ მტრისგან ნალეწო, ბევრი ტანჯვა გინახავს,
შენი ფესვის სიმტკიცე მთებმა შემოგვინახა.
კვლავ აყვავდა შენი ხის ყინვაგამძლე ტოტები,
ძირი რომ ვერ გაუხმეს მტრებმა ცეცხლის მოდებით.
ისევ მღერის, ისევ სტვენს შენს ბაღებში ბულბული,
მდინარენი მიჰქრიან სწრაფად, როგორც შურდული.
ისევ წითლად ანთებს შენს ველმინდვრებს ყაყაჩო,
შენს საზღვარზე დუშმანმა ველარ გადმოალაჯოს,
შენს აწმყოს, და მომავალს გმირი ხალხი დარაჯობს!

ციალა ლატარია

მარტიროს სარიანის დაბადების 100 წლისთავი



მარტიროს სარიანი

მე, მხატვარი...

მე — მხატვარი — წარმოვსახავ იმას, რასაც ვხედავ. მაგრამ თუ მე სამყაროს ვხედავ აქტიური აზრისა და განცდის გარეშე, ხელოვნებასთან მწყრალად ვყოფილვარ. მეცნიერება და ხელოვნება ადამიანმა შექმნა. ისინი ადამიანს ჰაერივით სჭირდება, მათ არსებობას თვით ადამიანის სიცოცხლე აუცილებელჰყოფს და უმეცნიერებოდ და უხელოვნებოდ სულიერად ღატაკნი ვიქნებოდით. ათასობით და ათასობით ადამიანის სულიერი ურთიერთობის საფუძველი ხომ ხელოვნებაა. ადამიანები ხელოვნების მეოხებით შეიმეცნებენ თავიანთ თავსა და ერთმანეთს, დიდი მხატვარი თავის არსებაში შეიწოვს მასების მთელ სულიერ სიმდიდრეს. აი, რატომ უყვართ შემოქმედნი, რატომ ექცევიან მოწიწებით მხატვრებს, რომლებსაც ძალუძთ ქვეყნიერებას დაანახონ ის იდუმალი რამ, რაც მილიონთა და მილიონთა არსს გამოხატავს.

მაგრამ რაზე უნდა ილაპარაკო უფრო? ცხოვრებაზე? ბუნებაზე? ცხოვრება და ბუნება ისევე ასაზრდოებენ ჩვენს ცნობიერებას, როგორც დედა ზრდის ჩვილს ძუძუთი. ჩვენს ზურგს უკან ყოველთვის დგას მძლავრი და ჩვენი მოლოლიავე ბუნება. რა მაღელვებდა მე დღენიადაგ, რას ვესწრაფოდი, როცა ხელოვნებას მივეყუდნე მთელი ჩემი არსებით? ნამდვილი, ნაღდი ფერწერა მწყუროდა. მე იგი მიყვარდა. მიყვარდა დიდ ხელოვანთა ქმნილებები. მაგრამ ის, რასაც ჩემს ირგვლივ ქმნიდნენ და რასაც მე თვითონ ვაკეთებდი, არ მაკმაყოფილებდა. მეტსაც ვიტყვი — ვიწრო, დახშული, ცხოვრებისგან მოწყვეტილი იყო ჩემი წრე. უნდა ვყოფილიყავ ბუნებასავით თავისუფალი, მასავით წმინდა, კეთილგონიერი, ღრმააზროვანი და ინტელიგენტობაზე მაღლა უნდა დავმდგარიყავი. ისეთი ნახატები უნდა შემექმნა, ადამიანებს სიხარულით რომ შემსჭვალავდნენ, თავისუფლებისა და ბედნიერების განცდით აღავსებდნენ. ისეთი ხელოვნება უნდა შემექმნა, რომელიც სიცოცხლეს სიხარულად აქცევდა. ადამიანებს სჭირდებათ სიცოცხლის დამამკვიდრებელი ხელოვნება, რომელიც სულს ამაღლებს და ნებისმიერი დაბრკოლების გადალახვის ძალას განიჭებს. გამოფენები კი სავსე იყო უხამსი, გულისამრევი ნაწარმოებებით, რომელთა შემყურე ადამიანს სული ეხუთებოდა. ხელოვნების ჭეშმარიტი ქმნილებები, ფერწერაში ახალი სიტყვის მთქმელი ცინცხალი, შთაგონებული ნაწარმოებები თითზე ჩამოითვლებოდა. მე კი ერთი ადგილის ტკეპნა, უკვე გაკეთებულის გამეორება, ერთსა და იმავე სამიზნეში სროლა ყოველთვის ჭირივით მძულდა. ამიტომ, შემოქმედების ყოველ ეტაპზე ჩემს წინაშე დგებოდა ახალი და ახალი საკითხები და მე ყოველთვის ვცდილობდი, რომ ახლებურად შემეხსნა ხორცი ჩემი ძირითადი პრინციპებისთვის. ყოველთვის ვაგონებდი ჩემს თავს, რაც აქამდე გამიკეთებია, რომ უნდა იყოს, ისეთი სრულქმნილი ვერაა — მეთქი. უნდა შევქმნა ახალი, უფრო ძლიერი, უფრო ღრმააზროვანი ნაწარმოებები. საჭიროა ვისწავლო ბუნებისაგან და ვძლიო, მოვერიო მას, დიახ, ვძლიო, მოვერიო, ის, რასაც მისგან ვიღებ, გზნებისა და გონების ძალით უნდა გარდავსახო და შევისისხლხორცო, ჩემს საკუთრებად ვაქციო — მეთქი.

აი, მე ვხედავ, მაგრამ ხედვა ჯერ კიდევ ყველაფერს არ ნიშნავს. მხოლოდ ინტელექტი და გრძნობა, მძაფრი აზრი და ცხადი წარმოსახვა გადაგვიშლის ხელოვნებისკენ მიმავალ გზას. აზრი და ფიქრი, მათი კავშირის უმაღლესი გამოვლინებით, აუცილებელია არა მარტო მხატვრული ნაწარმოებების შესაქმნელად, არამედ მათ ასახსნელადაც.

წინამორბედთა რომელ ანდერძს უნდა უერთგულოს მხატვარმა? უწინარეს ყოვლისა, იმას, რომ დღენიადაგ ახსოვდეს — იგი ხელოვნების დიადი საქმის მსახურია. შემდეგ არ უნდა დაკარგოს სიამაყისა და საკუთარი ღირსების გრძნობა, — ეს ქედს არ მოახრევინებს ყოველივე იმის წინაშე, რასაც ტალანტი დაღუპვისკენ მიჰყავს. ხალხს უყვარს ხელოვნების ოსტატები და დიდი მხატვარი ხალხისთვის ყოველთვის მაგალითია. სიტყვები — „მხატვარი“ და „მხატვრული“ საზომია არა მხოლოდ მხატვრული ნაწარმოების შეფასებისას, არამედ მატერიალურ ფასეულობათა შემქმნელი ადამიანების ტალანტისა და მოღვაწეობის შეფასების დროსაც. ყველაფერი ოსტატურად, მაღალმხატვრულად უნდა შესრულდეს. ერთი მოსკოველი ფოტოგრაფის ნამუშევრები რომ ვნახე, გავიფიქრე, ჩვენში ბევრი ფოტოგრაფი მხატვრად იქცა, ბევრი მხატვარი კი ფოტოგრაფად-მეთქი. რამდენადაც ეს კარგი ამბავია ფოტოგრაფებისთვის, იმდენად ცუდი და შეურაცხმყოფელია მხატვრისთვის. მხატვრისთვის ხელოვნების ყველა „იზმიდან“ ყველაზე უფრო საჩოთირო და შეურაცხმყოფელი „იზმი“ ფოტოგრაფიზმია. მომიტევონ ძვირფასმა მკითხველებმა, მაგალითად ჩემს თავს თუ მოვიტან. მე ადამიანებს ვხატავდი ალალად, მიუდგომლად, გულისხმის კარნახით. ჩემი პირველი ფერწერული ეტიუდი ჩემი ცხოვრების ბედნიერი მოვლენა გამოდგა. ფერწერამ თვალწინ მაცდუნებელი პერსპექტივები გადამიშალა, მაგრამ, ამასთანავე, უდიდესი სიძნელეების წინაშეც დამაყენა — აი, ეს სიძნელეები — ხაზი, შუქი, ტონი, ფერი, შუქ-ჩრდილი, პროპორციები, პერსპექტივები და ა. შ. ყოველივე ამის დასაუფლებლად დრო იყო საჭირო, დრო. უნდა გამოვტყდე, ფერთა ერთმანეთში გადასვლა მიმაჩნდა თავიდან უძნელეს საქმედ. მაგრამ ვიგრძენი, რომ მიმსგავსების პრობლემის გადაჭრაც ნაკლებ როდი გამიჭირდებოდა. მე, რასაკვირველია, შემეძლო მსგავსებისათვის გვერდიც ამევლო, მაგრამ მსგავსების გარეშე ხელოვნება არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს. უეჭველი ერთი რამაა, — მსგავსების შემჩნევას და მის გადმოცემას მხოლოდ შემოქმედებითი მისწრაფებითა და თეორიული გაცნობიერებულობით ვერ შესძლებ. ამისთვის აუცილებლად ბუნებრივი, თანდაყოლილი ტალანტიც უნდა გქონდეს მომადლებული. მაგრამ უყოველგვარო ბუნებრივი ნიჭი განვითარებას, დახვეწას საჭიროებს. შრომა და გამოცდილება ტალანტივით არსებითი მომენტებია. ხელოვნება შინაგანი მსგავსების გამოვლენასაც მოითხოვს. ამ აზრით გამსჭვალული შევუდექი ჩემი სპეციალობის საფუძვლების შესწავლას. ჩემი პირველი ნატურა იყო დედაჩემი და მის პორტრეტს დღემდე სასოებით ვინახავ. იგი ბევრს მოსწონს. პრიმიტიული ფერებია, მაგრამ მსგავსება ზედმიწევნითია. ასევე კარგი გამომივიდა სხვა ახლობლების — ჩემი და-ძმების, ბიძების პორტრეტები.

ამას მოჰყვა მუზეუმები, მხატვართა შემოქმედების შესწავლა, რვა წელიწადს მოსკოვში ცხოვრება, მოგზაურობები, ჩემი ხალხისა და სხვა ხალხების კულტურათა ათვისება, — ყოველივე ამან ჩამაგონა, რომ რაც შეიძლება ახლოს ვყოფილიყავი ბუნებასთან. მსგავსების მიღწევა ხელოვნების ერთ-ერთი უპრინციპიალურესი საკითხია, რომელიც მრავალ ფაქტორზეა დამოკიდებული.

ომის პერიოდში თურქეთის ხელისუფლებამ და არმიამ დასავლეთ სომხეთის უმწეო მოსახლეობის პირწმინდად მოსპობა დაისახეს ამოცანად. მთელი ერის არსებობას რეალური საფრთხე შეექმნა. 1915 წელს სისხლში ჩაახრჩვეს თურქეთში მცხოვრები ასიათასობით სომეხი. პანიკით მოცული ცოცხლად დარჩენილი სომხები ამიერკავკასიას მოაწყდნენ.

მოსკოვის სომხურმა ინტელიგენციამ თავის პატრიოტულ მოვალეობად ჩათვალა უსახლკაროდ დარჩენილი თანამემამულეების — ლტოლვილების გადასარჩენად ყველა ღონე ეღონა. საზოგადო მოღვაწის სტეფანე მამიკონიანის თავმჯდომარეობით მოსკოვში შეიქმნა დახმარების კომიტეტი, რომლის მუშაობაშიც მოსკოველ სომეხთა თვალსაჩინო წარმომადგენლები ჩაებნენ.

მთელი ჩემი ბარგი-ბარხანა ყუთებში ჩავაწყვე და ნაცნობებს დავუტოვე შესანახად, სახელოსნო ოხრად დავაგდე და გავემგზავრე სომხეთში, ჩემს ნატანჯ-ნაწამებ სამშობლოში, რომელიც, სასიკვდილოდ განწირული, უფსკრულის პირას იყო მიყენებული.

ეჩმიაძინში, წმ. რიფსიმეს ეკლესიის ერთ-ერთი სენაკი მომიჩინა ბინად გარეგინ ოვსეპიანმა.

საზარელი ამბები ხდებოდა: შოღაკატის, რიფსიმეს, გაიანეს ეკლესიების, მთელი ძველი ვაღარშაპატის (დღეს ქ. ეჩმიაძინი) მიდამოებში, მთლად ზვართნოცის ნანგრევებამდე, ავადმყოფი, ფეხზე ჩამომდნარი სომეხი ლტოლვილების ტევა არ იყო. ბავშვები, ქალები, მოხუცები... მათი ნაწილი მონასტრების კორომებს შეხიზნოდა, სხვები პირდაპირ ღია ცის ქვეშ, ველზე ეყარნენ. ზოგ ვინმეს ოთხთვალათი გამოეღწია, ზოგს მოუხერხებია და ძროხა და კამეჩი გამოურეკავს. კაცი და საქონელი ერევნის გზატკეცილზე ერთმანეთში არეულიყო და აშტარაკისკენ მიმავალი გზაც ლტოლვილებით იყო სავსე.

სრულიად უდანაშაულო ათასწლოვანი კულტურის ხალხი აიყარა მისი წინაპრების მიწიდან, რათა თურქული იატაგანისა და დიდი ევროპული სახელმწიფოების [illegible] პოლიტიკის მსხვერპლი არ გამხდარიყო. გადარჩენის ერთადერთი გზა ჩრდილოეთისკენ, უფრო ბედნიერი თვისტომებისკენ მიდიოდა.

დახმარების ორგანიზება ძნელდებოდა. მეფის მოხელეები ყოველმხრივ აფერხებდნენ მოსკოველ სომეხთა კომიტეტის მიერ ლტოლვილთათვის რის ვაი-ვაგლახით შეძენილი სურსათ-სანოვაგისა და მედიკამენტების ადგილზე ჩატანას.

ხალხი შიმშილისგან სულს ლაფავდა. დაიწყო ეპიდემიები, ყოველდღიურად ასობით ადამიანი იხოცებოდა. არავითარი ტრანსპორტი არ მოიძებნებოდა, მიცვალებულთა გვამების სასაფლაომდე მისატანი ფურგონებიც კი სანთლით იყო საძებარი.

ყველგან გვამები ეყარა — ქუჩებში, სახლებისა და ეკლესიების კედლებთან... იჯდა ცოცხალი კაცი და მის ირგვლივ გვამები ეყარა.

ოვანეს თუმანიანმა მიაღწია, რომ ეჩმიაძინის სასულიერო აკადემია სავადმყოფოდ გადაექციათ. აკადემია-საავადმყოფოს შენობის ირგვლივ ასობით ბავშვის გვამი ეყარა, მათ შორის კი ისხდნენ და იწვნენ მომაკვდავი ბალღები. გვამებით დატვირთული ოთხთვალების ჭრიალისგან ყურთასმენა აღარ იყო.

ხშირად ვერაფრით ვეწმარებოდით სანახევროდ მკვდარ, გონდაკარგულ ადამიანებს. თავს ზემოთ ძალა არ იყო. დღე და ღამეს ვასწორებდით, ძილი ვის ახსოვდა, კომიტეტის წევრები ქანცის გაცლამდე, ვიდრე ფეხზე დგომა შეეძლოთ, იბრძოდნენ სიკვდილს, მაგრამ სიკვდილი მუსრს ავლებდა ხალხს.

სიკვდილი, სიკვდილი! გარდაუვალი, ყოვლის ცოცხალის მწუხარებით შემსჭვალავი, შემზარავი...

სიკვდილის ორგია ბობოქრობდა ქალარა არარატის ძირამდე გაწოლილ ადამიანების ამ გიგანტურ ზოლზე. მხოლოდ გვიან ღამით ყუჩდებოდა კვნესა, ქვითინი, მოთქმა-გოდება. სიკვდილი თავის დღეურ ულუფას ითხოვდა.

[illegible] ეკლესიის კედელთან იჯდა ერთი ლტოლვილი ახალგაზრდა ქალი თავისი ხუთი შვილითურთ. ყოველთვის, როცა კი ჩავუვლიდი, მისი სილამაზით გაოგნებული, აღტაცებული ვრჩებოდი. ერთ მის ბავშვს დიზენტერია შეეყარა. საავადმყოფოში მივიყვანე, მაგრამ ვერ გადავარჩინეთ. ერთიერთმანეთის მიყოლებით სამი მაყვალთვალება ბიჭიც დაიხოცა.. დედამ მათ თავისი კაბებისგან სუდარები შეუკერა და ოთხი ცხედარი გვერდიგვერდ დაასვენა.

ორი დღის შემდეგ მასთან მივედი. თავის უკანასკნელ ვაჟიშვილს უკერავდა სუდარას. თითქმის დედიშობილა იყო, და რაკი ძაფი გაუთავდა, გრძელი ნაწნავებიდან იძრობდა თმებს, ნემსში უყრიდა და იმით კერავდა სუდარას.

ადგილზე გავხევდი. რა უნდა მექნა, რა, რა? არასოდეს მიგრძვნია ასეთი უმწეობა. რითი, როგორ დავეხმარებოდი?.. თვალთ დამიბნელდა. ლასლასით გავეცალე იქაურობას. ყვირილის თავი არ მქონდა, ძალა არ მყოფნიდა. თვალწინ ის საშინელი სურათი მედგა... მერე ყველაფერი ერთმანეთში აირია და რაღაც ჯოჯოხეთური სისწრაფით დატრიალდა რიფსიმეს, კათედრალური ტაძრის, ზვართნოცის, შოღაკატის გარშემო.

რამდენიმე დღის შემდეგ თბილისში, ჩემი ნაცნობების სახლში აღმოვჩნდი. თურმე, მეგობრებს სულით ავადმყოფობის ნიშნები შეუტყვიათ ჩემთვის და სასწრაფოდ წავუყვანივართ თბილისს..

თარგმნა **ჯუმბერ თითმერიამ.**

მარტიროს სარიანის „ჩემი ცხოვრებიდან“.





მარტიროს სარიანი: „პოეტ ეღიშე ჩარენცის პორტრეტი“, „ფინიკის პალმა ეგვიპტეში“, „მთის ფერდობზე“.

ლიტერატურული ცხოვრება

პროზის სექციაში

ამას წინათ საქართველოს მწერალთა კავშირის პროზის სექციამ და კ. მარქსის სახელობის საქართველოს სახელმწიფო რესპუბლიკურმა ბიბლიოთეკამ მოაწყვეს მწერალ აკაკი გაწერელიას ბოლო წლებში დაბეჭდილი მოთხრობების საჯარო განხილვა.

საღამო გახსნა პროზის სექციის თავმჯდომარემ მწერალმა ლადო ავალიანმა. აკაკი გაწერელიას ბოლო წლებში დაბეჭდილ მოთხრობებზე ილაპარაკა კრიტიკოსმა აკაკი ბაქრაძემ.

განხილვაზე გამოვიდნენ ბაჩანა ბრეგვაძე, იზა ორჯონიკიძე, სოსო სიგუა, როლანდ ბერიძე, მიხეილ ქურდიანი, თემურ ქურციკიძე, ნოდარ ჭოლოკავა, სახელმწიფო რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორის მოადგილე სერგო მეფარიშვილი და ბიბლიოთეკის თანამშრომელი ლაურა კოქლოშვილი.

აკაკი გაწერელიამ მადლობა გადაუხადა მსმენელებს გულთბილი შეხვედრისათვის და ილაპარაკა თავის შემოქმედებით გეგმებზე.

საგაზაფხულო პოეზიის საღამო

4 მარტს საქართველოს ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში საგაზაფხულო პოეზიის საღამო ჩატარდა, რომელიც მიეძღვნა ქალთა საერთაშორისო დღეს — რვა მარტს. საღამოზე მოწვეულნი იყვნენ ქართველი პოეტი ქალები: თამარ ერისთავი, ლეილა ერაძე, დალილა ბედიანიძე, ნაზი თარგამაძე, მთვარისა კერესელიძე, მზია ჩხეტიანი, მზია ხეთაგური, ცირა ქიტიაშვილი, ნანა ღვინეფაძე, დოდო გვიშიანი, ნელი გაბრიჩიძე, ნაზი კილასონია. მათ წაიკითხეს ახალი ლექსები.

საღამო მიჰყავდა მსახიობ ჯულიეტა ვაშაყმაძეს.

საქართველოს ფილარმონიამ პოეზიის ამ საღამოთი კიდევ ერთ კარგ ტრადიციას ჩაუყარა საფუძველი — ყოველწლიურად, გაზაფხულისპირს ქალთა პოეზიის საღამოები ჩატარდება.

კითხულობს მიხეილ ქვლივიძე

საქართველოს პროფკავშირის სასახლე აგრძელებს თავის ტრადიციას, მართავს ქართული პოეზიის საღამოებს.

ამას წინათ აქ ჩატარდა მიხეილ ქვლივიძის პოეზიის საღამო.

საღამო მიჰყავდა საქართველოს სახალხო არტისტს კოტე მახარაძეს... პოეტი კითხულობდა ლექსებს, უპასუხებდა მაყურებელთა შეკითხვებს, ესაუბრებოდა ახალ შემოქმედებით გეგმებზე...

საღამოზე პოეტს მიესალმა სსრკ სახალხო არტისტი, რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე.

დიდხანს უკრავდა ტაშს მიხეილ ქვლივიძეს მკითხველი, მისი შემოქმედების მართალი დამფასებელი.

ახალგაზრდა მწერალთა სხდომაზე

ამას წინათ ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირთან არსებული ახალგაზრდა მწერლების გაერთიანების სხდომა, რომელზეც განიხილეს გასულ წელს გამოქვეყნებული ახალგაზრდა მწერალთა ნაწარმოებები.

სხდომა გახსნა გაერთიანების თავმჯდომარემ, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის მდივანმა ჯანსუღ ჩარკვიანმა, აღნიშნა თუ რა გაკეთდა საქართველოს მწერალთა კავშირში სკკპ ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების მიღების შემდგომ, რომელიც შემოქმედებით ახალგაზრდობას მიეძღვნა, როგორ ზრუნავს ქართული მწერლობა თავის შემოქმედებით ცვლაზე, მის დაოსტატებაზე. მსმენელებს გააცნო ახალგაზრდა ლიტერატორთა გაერთიანების მომავალი გეგმები.

სხდომამ მიიღო და დაამტკიცა ალმანახის რედკოლეგიის და საბჭოს წევრთა სია.

მოხსენებები წაიკითხეს ლევან ბრეგვაძემ — „ახალგაზრდა მწერალთა ამოცანები“, ვახტანგ ხარჩილავამ — „1979 წლის ახალგაზრდული პოეზია“, ავთანდილ ჩხაიძემ — „თანამედროვე ახალგაზრდული პროზა“, თეიმურაზ დოიაშვილმა — „1979 წლის ახალგაზრდული კრიტიკა“.

კამათში მონაწილეობა მიიღეს რევაზ ჯაფარიძემ, ტარიელ კვანჭილაშვილმა, მამუკა წიკლაურმა, იზა ორჯონიკიძემ, გურამ პეტრიაშვილმა, ლაშა თაბუკაშვილმა, ბადრი ჭოხონელიძემ, ავთანდილ ჩხიკვიშვილმა, ნუგზარ კობერიძემ, ჯანრი გოგეშვილმა, იმირა მამედოვამ და სხვებმა.

სხდომის მუშაობა შეაჯამა საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სოციალისტური შრომის გმირმა, მწერალმა-აკადემიკოსმა გრიგოლ აბაშიძემ.



გაზაფხულდა.

ფოტო ა. არაბულისა.

მოძმე ხალხთა ენაზე

რევაზ ინანიშვილის მოთხრობები ესტონურად

LR
REVAZ INANIŠVILI
KEEGI JÄÄB BUSSIST MAHA
HELESININE LÕNGAKERA

ესტონეთის გამომცემლობა „პერიოდიკა“ „ბიბლიოთეკა ლომინგის“ სერიით აქვეყნებს მოძმე რესპუბლიკებისა თუ საზღვარგარეთელ ავტორთა ნაწარმოებებს. ახლახან გამოვიდა ამ სერიის 47/48 ნომერი, რომელშიც დაბეჭდილია რევაზ ინანიშვილის ორი მოთხრობა — „ვიღაცას ავტობუსზე აგვიანდება“ და „ცისფერი გორგალი“.

მოთხრობები ქართულიდან ესტონურ ენაზე უთარგმნია და ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები დაურთავს იუტა ბედიას.

ქართული პოეზიის ანთოლოგია პოლონურად

ვარშავის სახელმწიფო გამომცემლობამ ახლახან „საბჭოთა ლიტერატურის კოლექციის სერიით“ გამოსცა ორტომეული „საბჭოთა პოეზიის ანთოლოგიისა“. გამოცემაში გაერთიანებულია 23 ეროვნების ორასზე მეტი პოეტის ნაწარმოებები.

„ანთოლოგია, რომელშიც შესულია საბჭოთა ქვეყნის ხალხების შემოქმედება 1917 წლიდან, — ნათქვამია გამოცემის ანოტაციაში, — აცნობს მკითხველებს საუკეთესო პოეტურ ნაწარმოებებს. ეს ნაწარმოებები მრავალ ქვეყანაშია ცნობილი, მრავალ ენაზეა თარგმნილი“.

ამ გამოცემის გამო გაზეთი „ტრიბუნა ლუდუ“ ხაზგასმით აღნიშნავდა: პირველად ხდება ჩვენს სინამდვილეში, რომ ასე ფართოდ, ასე მდიდრულად და მრავალფეროვნად გასცნობოდეს ჩვენი ხალხი საბჭოთა პოეზიას.

ალბათ ჩვენი მკითხველისათვის საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ ანთოლოგიაში წარმოდგენილ მრავალეროვან ავტორთა შორის ქართველი პოეტებიც არიან.

პირველ ტომში გალაკტიონ ტაბიძის, გიორგი ლეონიძის, ტიციან ტაბიძის, პაოლო იაშვილის, იოსებ გრიშაშვილის, ილო მოსაშვილის, ტერენტი გრანელის ლექსებია დაბეჭდილი.

მეორე ტომში ქართულ პოეზიას წარმოადგენენ: სანდრო შანშიაშვილი, სიმონ ჩიქოვანი, გრიგოლ აბაშიძე, კარლო კალაძე, რევაზ მარგიანი, იოსებ ნონეშვილი, მურმან ლებანიძე, ანა კალანდაძე, ალეკო შენგელია, შოთა ნიშნიანიძე, ოთარ ჭელიძე, ჯანსუღ ჩარკვიანი, ოთარ ჭილაძე და მორის ფოცხიშვილი.

ანთოლოგიაში შესული ლექსები თარგმნეს ცნობილმა პოლონელმა მწერლებმა და პოეტებმა იუზეფ ჩეხოვიჩმა, იულიან ტუვიმმა, იაროსლავ ივაშკევიჩმა, ბრუნო იასენსკიმ, ეჟი პუტრამენტმა არტურ სანდაუერმა, ანტონი სლონიმსკიმ.

ა. ბერუტენბლიტი

გამოდის პარასკეობით
(ფასი 10 კაპ.)

ლიტერატურული საქართველო,
რედაქციის მისამართი,
380007, თბილისი, მაჩაბლის ქ. № 13.

ტელეფონები:
რედაქტორის — 99-84-04, პასუხისმგებელი მდივნის — 99-91-89, განყოფილებების — 99-67-10.

მთავარი რედაქტორი ვახტანგ ჭელიძე
სარედაქციო კოლეგია: თ. ბექიშვილი, თ. ბიბილური (პასუხისმგებელი მდივანი), წ. გურაბანიძე, ნ. გურეშიძე, ი. თარბა, რ. ინანიშვილი, ა. კალანდაძე, ი. ნონეშვილი, ჯ. ლვინჯილია, ო. ჩხეიძე, ს. ცაიშვილი, თ. ჭილაძე, ფ. ხალვაში.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. ИНДЕКС 66436 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17.

უე 03467